# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 2 ივნისი, 2007 წელი.

№ 103 (5704)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ფასი 50 თეთრი.



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცრუილობით და ჭორებით [illegible] გარდა ყველა უპატიოსნებისა უსამაგლოესია.



## სახელმწიფო არც ერთ კაპიკს ② არ ხარჯავს

### ხობი მასპინძლობს საერთაშორისო ფესტივალს — „სიმღერა სამეგრელოზე“

## კოკოითი „თავის“ ოსებსაც ③ ზედ ქათამივით აკლავს



## იტალიას ④ საქართველოსადმი განსაკუთრებული ინტერესი აქვს

## ხელისუფლებამ მეწარმეები ცხვრებივით გაპარსა ⑤-⑥





## ჰოდა, გულზე ხელი დაიდე და ისე გვითხარი, ჩვენო მინძაევ, რისი ღირსი ხარ? ③

## მარიაჟობას ველარ უნდა მოვრჩეთ? ⑦



## „ლალხორ“ — საფვიევარს ეჩიოდა სვანეთი!

● ცნობისათვის, ჯერ პრესა შეიქმნა და მერე რადიო-ტელევიზია. უცნაურია, რომ ნაბეჭდ სიტყვას ფასს არ ადებენ და მავანნი მხოლოდ ეკრანზე გამოჩენის სურვილით იწვიან. ეს კი „პიარია“ და მეტი არაფერი. თუ ხალხს ემსახურები, სიტყვას საქმე უნდა მოსდევდეს





◎ კანონმდებლები

# უმრავლესობა და ოპოზიცია სხვადასხვაგვარად ანგარიშობენ

## ბეჟუაშვილი – მომხრეა, ბოკერია – წინააღმდეგი

**საგადასახადო** ცვლილებების გამო, ოპოზიცია კვლავ უკმაყოფილებას გამოთქვამს. პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი ამ საკითხს მომავალ კვირასაც მიუბრუნდება. მოგეხსენებათ, საგადასახადო კოდექსში შესატანი ცვლილებების მიხედვით, ხელფასიდან სოციალური გადასახადი უქმდება და საშემოსავლო გადასახადს უერთდება, რაც ჯამში 25 პროცენტია. საკითხავია, ახალი ცვლილებების მიხედვით, იზრდება თუ მცირდება დაქირავებულის ხელფასი?

„წაიკითხეთ და თქვენ თვითონ გამოიტანეთ დასკვნა, გეზრდებათ ხელფასზე გადასახადი, თუ არ გეზრდებათ, შავით თეთრზე არის დაფიქსირებული, რომ გეზრდებათ“, – აცხადებს მრეწველთა ლიდერი ზურაბ ტყემალაძე.



ოპოზიცია მიიჩნევს, რომ, რადგან სოციალური გადასახადი, რომელსაც დამქირავებელი, იხდიდა, აღარ იარსებებს, ამიტომ ყველა დაქირავებულს, 12-პროცენტიანი საშემოსავლოს ნაცვლად, 25-პროცენტიანი გადასახადის გადახდა მოუწევს. უმრავლესობა კი ცვლილებებს სხვაგვარად განმარტავს:

თუ დაქირავებულის ხელფასი 500 ლარია, ეს იმას ნიშნავდა, რომ დამქირავებელს მათთან 600-ლარიანი ხელშეკრულება ჰქონდა გაფორმებული, რადგან 20-პროცენტიან სოციალურ გადასახადს ის პირდაპირ ბიუჯეტში იხდის. დაქირავებული კი 500 ლარიდან მხოლოდ 12-პროცენტიან საშემოსავლო გადასახადს იხდიდა და ხელზე 440 ლარს იღებდა. ცვლილებების შემდეგ კი ათვლა ხელფასის იმ ოდენობიდან დაიწყება, რასაც დამქირავებელი 20-პროცენტიანი სოციალური გადასახადის ჩათვლით გააფორმებს, ანუ, 600 ლარიდან. ხელფასს მხოლოდ 25-პროცენტიანი გადასახადი აკლდება და დაქირავებული კი ხელზე, 440-ის ნაცვლად, 450 ლარს მიიღებს.

ეს განმარტებები ოპოზციისთვის დამაჯერებელი არ არის. ოპოზიცია მოითხოვს, რომ კანონპროექტში სპეციალური ფორმულირება ჩაიწეროს რაც დამქირავებელს სოციალური გადასახადის გადახდით დაავალდებულებს.

ამ საკითხზე უმრავლესობაშიც კი უთანხმოებაა, მაგალითად, პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე ლევან ბეჟაშვილი სწორედ ზემოთქმული დავალდებულების მომხრეა, მისი მოადგილე გიგა ბოკერია კი – წინააღმდეგი.

**მზია გელენავა**

◎ პრესკონფერენცია

# სახელმწიფო არც ერთ კაპიკს არ ხარჯავს

**დღეს ქალაქი ხობი საფესტივალო რიტმით იწყებს ცხოვრებას. იგი მასპინძლობს მესამე საერთაშორისო ფესტივალს „სიმღერა სამეგრელოზე“, რომელმაც თავისი წინამორბედებისაგან განსხვავებით წლეულს გაცილებით დიდ მასშტაბს იძენს და სტუმართმრავლობით გამოირჩევა. ამჯერად ხობს მსოფლიოს 12 ქვეყნის წარმომადგენლები ეწვევიან. ასეთი დაინტერესება, ცხადია, ბევრად განსაზღვრა ფესტივალის კეთილშობილური მიზნის გაცნობიერებამ, მისმა დონემ და იმ კონკრეტულმა შედეგებმა, რაც ქართული ხალხური მუსიკალური საგანძურის მოძიება-აღდგენის, პოპულარიზაციისა და განვითარების საქმეში ფასდაუდებელი წვლილით გამოიხატება.**

მესამე ფესტივალის მასშტაბებსა და მიზნებზე, აგრეთვე მის მრავალფეროვან პროგრამაზე იყო სწორედ საუბარი გუშინ კინოს სახლში გამართულ პრესკონფერენციაზე, რომელიც ფესტივალის საორგანიზაციო ჯგუფის წევრებმა გამართეს მედიის წარმომადგენლებთან.

ფესტივალის პროექტის ავტორმა და დამფუძნებელმა, საქველმოქმედო ფონდ „ხობის“ პრეზიდენტმა გოდერძი ბუკიამ ისაუბრა ამ ზეიმის მნიშვნელობაზე. მან აღნიშნა, რომ ამჯერად იგი მარტო აღარ არის. თუ პირველმა ფესტივალმა მხოლოდ მის ზურგზე გადაიარა, ახლა ფესტივალს უამრავი მეგობარი და მეცენატი გამოუჩნდა. სწორედ მათი წყალობაც არის წლევანდელი ფესტივალი, სახელმწიფო კი არც ერთ კაპიკს არ ხარჯავს. მან ჟურნალისტებს გააცნო წლევანდელი საფესტივალო პროგრამის სიახლეები და აღნიშნა, რომ ფესტივალი განსაკუთრებულ პატივს მიაგებს გამოჩენილ მომღერალს ზურაბ სოტკილავას, რომლის იუბილესაც აღნიშნავენ 3 ივნისს.

ქართული ხალხური სიმღერის მოამაგემ ანზორ ერქომაიშვილმა ჟურნალისტებს გააცნო ის უნიკალური გამოცემები, რომლებიც წიგნებისა და კომპაქტდისკების სახით გამოიცა მესამე ფესტივალისთვის. ამიერიდან ეს გამოცემები მსოფლიოს სხვადასხვა მუსიკალურ ცენტრებსა და ბიბლიოთეკებს გაეგზავნება.

ფესტივალის მნიშვნელობაზე და ამ საქმეში გოდერძი ბუკიას ღვაწლზე ისაუბრეს გამოჩენილმა მომღერლებმა ზურაბ სოტკილავამ და პაატა ბურჭულაძემ. გამოთქვეს იმის იმედიც, რომ საქართველოს სხვა კუთხეებშიც გამოჩნდებიან მისი მსგავსნი და შეუერთდებიან ამ მოძრაობას. მხოლოდ ეს გადაარჩენს ქართულ კულტურას.

ვრცელ რეპორტაჟს ფესტივალის შესახებ გაზეთი თავის მკითხველებს უახლოეს დღეებში შესთავაზებს.

**რუსუდან მუხიგულაშვილი**

◎ დამცირებული პრესა

# მართლაც, მხოლოდ ტელეეკრანებზე თავმოწონება გნებავთ?

**ცოტა** შორიდან დავიწყებთ და პოლიტიკოსებს შევახსენებთ, რომ მათ, უპირველესად, საქმეზე უნდა იზრუნონ და არა საკუთარი თავის წარმოჩენაზე. ამასთან, ელემენტარული ზრდილობაც არ უნდა დაივიწყონ – როდესაც პრესკონფერენციაზე მასმედიას იწვევ, მოვალე ხარ, მას პატივი სცე. მართალია, შეუმცდარი არავინაა, მაგრამ თუ პოლიტიკოსად მოგაქვს თავი და ხალხის საკეთილდღეოდ იბრძვი, სათანადო ყოფა-ქცევაც გმართებს.

## ლეიბორისტებმა ჟურნალისტები უზრდელად გამოისტუმრეს




„საქართველოს ლეიბორისტული პარტია“ თავს ხალხის პარტიად აცხადებს. გუშინ ამ პარტიის პოლიტიკურ მდივანს გიორგი გუგავას პრესკონფერენცია უნდა გაემართა თემაზე: „სააკაშვილის მიერ დაქცეული სოფელი“. პრესა, რადიოები და რამდენიმე საინფორმაციო სააგენტო მათ ოფისში გამოცხადდა, მაგრამ ტელეკომპანიები არსად ჩანდა. დიდი ხნის ლოდინის შემდეგ პარტიის პრესმდივანმა დაგვაფასა და წინილებივით დაგვთვალა, მერე კი სათათბიროდ გუგავასთან გაემართა და მისი მოულოდნელი და დამამცირებელი პასუხი გვამცნო: „ტელეკომპანიების მოუსვლელობის გამო პრესკონფერენცია გადაიდო“. გიორგი გუგუვამ ჟურნალისტები განწბილებულნი დაგვტოვა და ბოდიშის მოხდა პირადადაც არ იკადრა.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა“ ობიექტურად უთმობს ადგილს პოზიციას და ოპოზიციას. მათ შორის, „ლეიბორისტული პარტიის“ ლამის ყველა ღონისძიებას ეხმაურება. ამას დანახვა და დაფასება უნდა და არა ასეთი იგნორირება.

კიდევ ერთი რამ: ჩვენც, ჟურნალისტები საზოგადოების ნაწილი და ამომრჩევლები ვართ. ასე, რომ დათესილს არჩევნებზე მოიმკით.

ცნობისათვის, ჯერ პრესა შეიქმნა და მერე რადიო-ტელევიზია. უცნაურია, რომ ნაბეჭდ სიტყვას ფასს არ ადებენ და მავანნი მხოლოდ ეკრანზე გამოჩენის სურვილით იწვიან. ეს კი „პიარია“ და მეტი არაფერი. თუ ხალხს ემსახურები, სიტყვას საქმე უნდა მოსდევდეს.

თუ სოფელი დაიქცა, ქვეყანა დაინგრა და ვილუპებით, მაშინ რა გეტელევიზიება, რატომ აგვიანებ უმნიშვნელოვანესი ინფორმაციის გავრცელებას? მართლაც მხოლოდ ეკრანზე თავმოწონება გნებავთ?!

**მაია ხორგუაშვილი**

◎ „ეროვნული ფორუმი“

# „სახელმწიფო ქონების ძარცვას აკანონებს“

**პოლიტიკური** გაერთიანება „ეროვნული ფორუმი“ ქონების ლეგალიზაციის შესახებ კანონპროექტს სახელისუფლო კლანის მიერ ნაძარცვი ქონების დაკანონების მცდელობას უწოდებს.



როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე „ეროვნული ფორუმის“ წარმომადგენელმა, პარლამენტის წევრმა გოჩა ჯოჯუამ განაცხადა, ამ ნორმით სახელმწიფო იტოვებს უფლებას, განაგრძოს და ბოლომდე მიიყვანოს მესაკუთრეებისათვის ყველა იმ ქონების ჩამორთმევის პროცესი, რომელიც მეტნაკლებად მიმზიდველად მიაჩნია პირადად პრეზიდენტს ან სხვა რომელიმე გავლენიან ჩინოვნიკს.

– სააკაშვილის მთავრობას საკუთრების უფლების მნიშვნელობა კარგად რომ ჰქონდეს გაცნობიერებული და საკუთრების უფლების რეალურად დაცვა სურდეს, ამისთვის არ დასჭირდებოდა ახალი კანონის მიღება, რადგან აქამდე არსებული კანონმდებლობა თავად არ უშვებს მესაკუთრეების ხელყოფის შესაძლებლობას. თუმცა, სააკაშვილმა და მისმა რეჟიმმა მოქმედი კანონმდებლობა არაფრად ჩააგდო, – განაცხადა ჯოჯუამ.

რაც შეხება „ეროვნული ფორუმის“ კიდევ ერთ წარმომადგენელს ნიკო ორველაშვილს, იგი საგადასახდო კოდექსში შესატან ცვლილებას შეეხო, რომლის მიხედვითაც საშემოსავლო და სოციალური გადასახადები ერთიანდება და ჯამური 32 პროცენტის ნაცვლად 25 პროცენტი იქნება.

ორველაშვილი მიიჩნევს, „რომ საკანონმდებლო ინიციატივა, ნაძარცვის დაკანონების გარდა, აგრესიული პიარ-აქციაც არის, რითაც სააკაშვილს სურს, დააბრმავოს საერთაშორისო ორგანიზაციები და მოაწონის თავი კერძო საკუთრებისადმი გამოჩენილი პატივისცემით“.

**ინტერპრესნიუსი**

◎ შიმშილობა

# ირაკლი ბათიაშვილის ჯანმრთელობა საფრთხეშია

**პოლიტიკური მოძრაობა „წინ საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერის ირაკლი ბათიაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა შიმშილობის გამო დამძიმდა.**

როგორც ბათიაშვილის გათავისუფლების კომიტეტიდან იტყობინებიან პატიმრობაში მყოფი ირაკლი ბათიაშვილი მე-11 დღეა შიმშილობს, რის გამოც მისი ჯანმრთელობა უკიდურესად დამძიმდა.

მათივ ინფორმაციით, პატიმრის მონახულებას ადვოკატი სოსო ბარათაშვილი შეეცდება, რათა იგი დაარწმუნოს, რომ შიმშილობა შეწყვიტოს.

ბათიაშვილი, საქართველოს სახალხო დამცველმაც მოინახულა.

**ინტერპრესნიუსი**

# ქვეყანა

**ეგებ, ღირსგვყოს და აგვიხსნას ბატონმა მინძაევმა, კვლავ როგორ უნდა აკრძალო ის, რაც არათუ აგიკრძალავს, პირიქით, თვით დიდი რუსეთის შოვინისტური, გარუსების პოლიტიკის საწინააღმდეგოდაც კი იმ დროისათვის წარმოუდგენელ პირობებს რომ უქმნიდი ეროვნული თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად და განსავითარებლად?!**



ეროვნული ბიბლიოთეკა

**ანეკდოტი ანეკდოტად, მაგრამ...**

## ჰოდა, გულზე ხელი დაიდე და ისე გვითხარი, ჩვენო მინძაევ, რისი ღირსი ხარ?

**დგას რაინდი გზაგასაყართან. ლოდს აწერია: „პირდაპირ წახვალ, ცხენიანად დაიღუპები, მარჯვნივ წახვალ, თავს დაკარგავ, მარცხნივ წახვალ, „გაგაპედერასტებენ“.**

კეფა მოიქექა მგზავრმა. თავის გაწირვას, ისევ უკანალის გაწირვა არჩია და რაინდული ღირსებით აღვსილმა ცხენი მარცხნივ მიუშვა.

...სრა-სასახლე დაინახა, სახტად დარჩენილი პირღია გაშეშდა. გამოეგება ცხრათავიანი დევი. ღმერთო, შეგცოდე და, ვგონებ, ბიბლიურ მამას არ გახარებია ისე უძღები შვილის დაბრუნება, დევს რომ სტუმარი გაუხარდა. ფიანდაზად დაეგო, დაბანა და მოალხინა, თავს დაჰფოფინებდა, გადამთიელს ეყმო და ემსახურა. ბოლოს, უდიდესი პატივისცემის ნიშნად, ფერთით დაუწვა.

ფხიზლობს რაინდი – ეშინია, მძინარეს შემჭამსო. მიაყურადა. ალალი დევი მშვიდად ფშვინავდა. ჩუმად ადგა, ქარქაშიდან ხმალი ამოიღო, ფეხაკრეფით მიეპარა მასპინძელს და დაუშხუილა ერთხელ, ორჯერ, სამჯერ. გაგორდა დევის თავები...

მეოთხედ რომ შემართა მახვილი, დევმა თვალები გაახილა და დანანებით ამოთქვა: „რას მერჩი, შე პედერასტო!“

სამწუხაროდ, ისტორია გვიდასტურებს – ღორის ტილს ფეხზე თუ დაისვამ, აუცილებლად თავზე აგაცოცდება... ეგერ, უკვე რამდენი გვაზის. ვერა სიკეთესა და სიმართლეს ვერ შეასმენ. რას გვერჩიან, რას გვემართებიან? პური გვთხოვეს და ვაჭამეთ, თანაც თავთუხისას ვურჩევდით, ღვინო გვთხოვეს და ვასმიეთ, თანაც ბადაგისას ვურჩევდით. აი, ცოლი რომ გვთხოვეს და ვერ მივეცით, ალბათ, ამაზე არიან გამგელებულები. როგორია, მიწა, ჩვენი წინაპრების სისხლით გაჯერებული ქართული მიწა მივუბოძეთ და ახლა მაგას ხომ გვედავებიან და გვედავებიან, ბარემ, ღირსებაც აიყარეთო, გვექადნებიან.

ეჰ, ბატონო მინძაევ, ბატონო მინძაევ! თხას ადგილი ალაპარაკებდა, თორემ... როდემდე იჯდებით რუსეთის ზურგზე?!

აგერ, მოდგა რუსულ ყოველდღიურ ელექტრონულ გაზეთ „უტროსთვის“ მიცემულ ინტერვიუში და სულ დედ-მამის სული გვიტრიალა.

მაინც რაო, რა მინდაო? რომელი ეშმაკი შეუჯდა და არ ასვენებს ე. წ. სამხრეთ ოსეთის ე. წ. შინაგან საქმეთა მინისტრს, ახლა რომ საგარეო საქმეებს არჩევს?

რა და, თურმე, თუ კვლავ საქართველოს შემადგენლობაში შემოვლენ, ქართველები, დაპირებების მიუხედავად, კვლავ (!) ავკრძალავთ ოსურ ენას, აღარ იქნება ოსური ლიტერატურა, გვარების გამოცვლას ვაიძულებთ, ოსურ ტოპონიმიკასაც მოვსპობთ და, საერთოდ, ავკრძალავთ სამხრეთ ოსეთს...

პაპაჩემი ოჯახით 1930 წლამდე ცხოვრობდა ორჯონიკიძეში. მამაჩემიცა და მისი ძმაც იქ დაიბადნენ და იზრდებოდნენ. ორჯონიკიძეში ოჯახითურთ ახლაც ცხოვრობს მამის დეიდაშვილი. ბოლოს 1995 წელს მოვინახულე ნათესავები. ბევრ იქაურ ოსს ველაპარაკე. არაფერს ვამლაშებ, გაოგნებულნი იყვნენ, მეტი რაღა უნდოდათ – ოსური სკოლები, ოსური გაზეთი, ოსური რადიოგადაცემები, ოსური სამეცნიეროკვლევითი და სახელმწიფო-პედაგოგიური ინსტიტუტები, თეატრი, ოსური განყოფილება საქართველოს მწერალთა კავშირში... ჩვენ კი მთლიანად გარუსებულნი ვართ, მშობლიურ ენაზე წერა-კითხვაც არ ვიცით, ენაც ძლივს შევინარჩუნეთ, რადგან მთელ ჩრდილო ოსეთში ერთი კინკილა, თუნდაც დაწყებითი ოსური სკოლა არ გვაღირსესო!

ეგებ, ღირსგვყოს და აგვიხსნას ბატონმა მინძაევმა, კვლავ როგორ უნდა აკრძალო ის, რაც არათუ აგიკრძალავს, პირიქით, თვით დიდი რუსეთის შოვინისტური, გარუსების პოლიტიკის საწინააღმდეგოდაც კი იმ დროისათვის წარმოუდგენელ პირობებს რომ უქმნიდი ეროვნული თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად და განსავითარებლად?!

და, ამისდამიუხედავად, აგრესორები ვართ! მერედა, როგორი – ჩვენს მიწას არ ვანებებთ! თან ისეთი ვირეშმაკებიც, რომ გულუბრყვილო, ალალ ოსებს პროვოკაციების ხან რომელ და ხან რომელ ანკესზე წამოვაგებთ ხოლმე. თურმე, უხმოდ და უალოდ მსროლელი და ღამის ხედვის ხელსაწყოები ბლომად გვქონია. მივეპარებით მათ საგუშაგოებს, დავცხებთ და მყისვე ავორთქლდებით. ოსები იქიდან „მეორე ხმას“ რომ გვეტყვიან, ჩაბლუჯულ საერთაშორისო დამკვირვებლებს მივუშვებთ ცხელ კვალზე და საბრალო ოსებსაც კვატებივით გამოვიჭერთ ხოლმე. ყოჩაღ, ჩვენებო! ეს როგორ ჩაუსვამთ ჯიბეში გაეროსა თუ ეუთოს დამკვირვებლები!

აგრესორი საქართველო მაინც არ მოისვენებს და, თუმცა, საეჭვოა ომი შემოგვბედონ, მაინც იცოდეს რევანშისტმა თბილისმა, მთელი ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკები უმალ ფეხზე დადგებიან და, ერთხელ და სამუდამოდ, დავამხობთ თბილისის ძალმომრეობასო.

ღმერთმანი, დავიბენი. მთელი ჩრდილო კავკასია სწორედ მეფის რუსეთის ძალმომრეობას ებრძოდა. აგერ, სულ ახლახან უკვე ვითომ დემოკრატიულმა რუსეთმა მთლიანად გადახნა ჩეჩნეთი და ძალმომრეობა მაინც თბილისისაა?

დაბოლოს, მუქარას წერტილს უსვამს – ეგრე არა ჰქნა თაყაო, თორემ დამოუკიდებლობის მომავალ დღესასწაულს, სულ ცოტა, 100 წლის მერელა იზეიმებთო.

ჰოდა, იმოდენა სიკეთის წილ მაინც მტრად რომ მოგვეკიდები და უზურში ჩვენი თავების დაგორება გაქვს, გულზე ხელი დაიდე და გვითხარი, ჩვენო მინძაევ, რისი ღირსი ხარ?!

**კონსტანტინე გურგენიძე**

№ 103. შაბათი, 2 ივნისი, 2007 წელი.

**წყალი ღვთის წყალობაა!**

## კოკოითი „თავის“ ოსებსაც ზედ ქათამივით აკლავს

**წყალი ღვთის წყალობაა. ამიტომ, როცა ადამიანს წყალს ართმევ, ღვთის ამ წყალობასაც ართმევ. მერედა, რომელ მოკვდავს აქვს უფლება ღმერთის წყალობა წაართვას მოყვასს?!**

კოკოითის რეჟიმი ამ უფლებასაც იჩემებს – 9 ქართული სოფელი ღვთის ნაწყალობების გარეშე დატოვა.

ჩოჩიევი კი თბილისისკენ იშვერს ხელს, მაგრამ წყალი სეპარატისტების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე – ჯავაში მდებარე სათავედანაა გადაკეტილი. კოკოითი ამტკიცებს, ეს საპასუხო ადეკვატური ზომააო, მაგრამ რის საპასუხო და რომელი ადეკვატური, აღარ აზუსტებს. თუმცა, ისედაც გასაგებია, რომ თავი და თავი მიზეზი დროებითი ადმინისტრაციული ერთეულია. კოკოითი ბედაურს ვერ მოერია და უნაგირს ეჭიდავება – რაზეც ხელი მიუწვდება, იმით ცდილობს გაგვამწაროს და ზედ განურჩევლად ქათამივით აკლავს „თავის“ ოსებსაც – ცხინვალიც უწყლობით ღაფავს სულს.

დიდი ლიახვის ხეობაში უკვე ჩავიდა თბილისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი კობა სუბელიანი თბილწყალკანალის სპეციალისტებთან და გეოლოგებთან ერთად. გიგი უგულავამ განაცხადა, რაგინდ წინააღმდეგობაც გაგვიწიონ სეპარატისტებმა, ყველა სოფელში ჭებს გავთხრით და ხალხს სასმელი წყლით უზრუნველვყოფთო.

ჩვეულებისამებრ, რუსეთიც ჩაერია საქმეში. ოღონდ, ასევე ჩვეულებისამებრ არაობიექტურად – თბილისს მკაცრად მიმართა, ვითარების ესკალაციას შეეშვითო, სეპარატისტებს კი მამაშვილურად ურჩია თავის შეკავება.

მტყუან-მართლის გარჩევა ხალხისთვის ვერაფერი შეღავათია – ლამის მთელი რეგიონი სასმელი წყლის გარეშეა დარჩენილი. ახლა ხომ მაინც სწორად უნდა დაინახოს იმ ხალხმა, ვინ ზრუნავს მათზე და ვინ კლავს წყურვილით პირადი ამბიციების გამო?!

**კოტე სარალიძე**



**კონფლიქტის ზონა**

## ერთი „წვეთი“ სიცრუე

**დილიდანვე იცრემლებოდა HTB: ამ გაგანია ზაფხულში ქართულმა მხარემ ცხინვალის მოსახლეობას სასმელი წყლის მიწოდება შეუწყვიტა და აგერ უკვე მესამე დღეა ქალაქი უწყლობით იხრჩობაო. გულისამაჩუყებელი კადრებიც გვიჩვენეს: ვედრო-ქოთან-ბიდონების გრძელი რიგები და ერთი ყელგამშრალი ონკანი, საიდანაც წყალი საცოდავად მოწვეთავს.**

ვიზუალურად ეს ყველაფერი სინამდვილეს შეეფერება, ერთი „წვეთი“ სიცრუე რომ არა: ცხინვალის, ისევე როგორც ლიახვის ხეობის ქართული და ოსური მოსახლეობის უწყლოდ დარჩენა კოკოითის დასტურით მოხდა. ეს მისი „სტრატეგიული“ ჩანაფიქრია: დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი დიმიტრი სანაკოევი და მისი თანამოაზრეები ქურთადან უნდა წავიდნენ, მანამდე კი ყოველ ჭიქა წყალსაც სანატრელს გავუხდიო.

HTB-ს პროვოკაციული რეპორტაჟის სისწორე ეუთოს დამკვირვებლებმა ადგილზე შეამოწმეს. გამოირკვა, რომ ლიახვის ხეობის, მისი დასახლებული პუნქტების სასმელი წყლის სათავე-ნაგებობა ჯავაშია და, რადგან ჯავის რაიონს ჯერჯერობით ვერ ვაკონტროლებთ, ქართული მხარე აქ არაფერ შუაშია (ჩვენ თუ ქვევითა ვართ, წყალს როგორ ავუმღვრევთ „ზევით“ კოკოითს?!).

აი, სიმართლე ესაა. სიმართლის ნერგი კი, მოგეხსენებათ, წყალიც რომ არ დაუსხა, მაინც ხარობს.

**გურამ ვაშაკიძე,**
**„სრ“ საკ. კორ.**

**ინფორმაცია**

### მოსკოვი თბილისს ადანაშაულებს

**ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ვითარების დაძაბვის გამო, რუსეთი შეშფოთებას გამოთქვამს და თბილისს მოუწოდებს, კონფრონტაციის გაღრმავება არ დაუშვას, ამის შესახებ რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ სპეციალურ განცხადებაშია ნათქვამი. „გზების გადაკეტვა და წყლის მიწოდების შეწყვეტა პირდაპირ საფრთხეს უქმნის რეგიონის მოსახლეობის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას“, – აცხადებს რუსეთის საგარეო უწყება. მოსკოვი წყლის პრობლემის შექმნაში თბილისს ადანაშაულებს. რუსული მხარის განცხადებით, ცხინვალისა და მიმდებარე სოფლებისათვის წყლის შეწყვეტა ავარიულმა სიტუაციამ გამოიწვია, ქართული მხარე სარემონტო სამუშაოების შესასრულებლად ოსურ სარემონტო ბრიგადებს არ უშვებს და საკითხის შეთანხმებას დროებითი ადმინისტრაციის მეთაურთან, დიმიტრი სანაკოევთან ითხოვს. „ამით თბილისმა რეგიონის ქართული მოსახლეობა პოლიტიკური თამაშის მძევლად აქცია“, – ნათქვამია განცხადებაში.**

**ХО-ЭОВ-ЭНО**

ბოლო ოთხ წელიწადში, ანუ ჩემი ელჩობის პერიოდში, სავაჭრო ბრუნვა სამჯერ გაიზარდა. არ ვიცი, ზუსტად რის შედეგად მოხდა ეს, მაგრამ მომწონს ვფიქრობდე, რომ ამაში ჩემი წვლილიც არის. თუმცა მთლიანობაში სავაჭრო ბრუნვის მოცულობა ჯერ კიდევ ნაკლებია იმ პოტენციალზე, რაც ჩვენს ქვეყნებს აქვთ



№ 103. შაბათი, 2 ივნისი, 2007 წელი.

**ელჩი**

# იტალიას საქართველოსადმი განსაკუთრებული ინტერესი აქვს

## ნომრის სტუმარია იტალიის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში, დოქტორი ფაბრიციო რომანო

**— ბატონო ელჩო, 2 ივნისს აღინიშნება იტალიის რესპუბლიკის ეროვნული დღესასწაული — რესპუბლიკის გამოცხადების 61-ე წლისთავი. თუ შეიძლება, მოკლედ გვიამბეთ, როგორ აღინიშნება ტრადიციულად ეს დღე იტალიაში?**

— 61 წლის წინათ, 1946 წლის 2 ივნისს იტალიელმა ხალხმა რეფერენდუმზე უარი განუცხადა მონარქიულ წყობილებას და მხარი დაუჭირა რესპუბლიკის გამოცხადებას. ამ დღეს ყოველთვის დიდი ღონისძიებებით აღნიშნავენ იტალიაში, რომში ტარდება სამოქალაქო აღლუმი და უფრო მცირე მასშტაბით — სამხედრო აღლუმი. გვირგვინებით ამკობენ უცნობი ჯარისკაცის საფლავს. მთელს იტალიაში იმართება სახალხო სეირნობები. რასაკვირველია, ეს დღე ყოველთვის დასვენების დღეა.

**— ბატონო ელჩო, თქვენ უკვე 4 წელიწადია მოღვაწეობთ საქართველოში. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, უკვე მთავრდება თქვენი დიპლომატიური მისიის ვადა და მალე ჩვენს ქვეყანას დატოვებთ. ჩვენ ვხედავდით თქვენს განსაკუთრებულ და მხოლოდ დადებით აქტიურობას ყველა მიმართულებით, რაც კი შეიძლება ეხებოდეს დიპლომატს. დიდი მადლობა ყოველივე ამისათვის! გთხოვთ ერთგვარად შეაჯამოთ თქვენი დიპლომატიური მოღვაწეობა საქართველოში.**



— დიახ, უკვე 4 წელიწადი გავიდა, რაც საქართველოში ვიმყოფები. ჩემი, როგორც ელჩის სამოქმედო სფეროები იყო პოლიტიკა, სავაჭრო-ეკონომიკური, ტექნიკური დახმარების და კულტურულ ურთიერთობათა სფეროები.

პოლიტიკურ ჭრილში მე ვცდილობდი სხვადასხვა დონის ქართველი და იტალიელი პოლიტიკური წრეების რაც შეიძლება მეტ შეხვედრათა ორგანიზებას. ვფიქრობ, ეს გამომივიდა. მაგალითად, იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრი ფრანკო ფრატინი იყო ვიზიტით მხოლოდ საქართველოში და არა ისე, როგორც ეს ევროკავშირის სხვა ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების ვიზიტების დროს ხდება — ერთგვარი ვოიაჟი საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში. ამას მნიშვნელობა აქვს იმიტომ, რომ ამით ხაზი გაესვა საქართველოსადმი იტალიის განსაკუთრებულ ინტერესს „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ. შემდგომ უკვე იყო რამდენიმე ვიზიტი საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეებისა და გენერალური მდივნის უმბერტო ვატანისა. გარდა ამისა, შედგა რეგიონების მინისტრისა და საერთაშორისო ვაჭრობის მინისტრის ვიზიტები. საქართველოში იყვნენ იტალიელი პარლამენტარები და დღევანდელი ჩვენი პრემიერ-მინისტრი რომანო პროდი. მართალია, ეს მოხდა ევროკომისიის მოწვევით, ვიდრე იგი პრემიერ-მინისტრი გახდებოდა. დაბოლოს, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რასაკვირველია, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ორჯერად ვიზიტს იტალიაში. ვფიქრობ, ყოველივე ჩამოთვლილი საკმაოდ კარგი შედეგია ჩემთვის, როგორც დიპლომატისთვის, რომელიც ორგანიზებას უწევდა ამ ვიზიტებს, რომ აღარაფერი ვთქვა მათ მნიშვნელობაზე ჩვენი ორი ქვეყნის ურთიერთობისათვის.

რაც შეეხება ეკონომიკის სფეროს, როგორც იცით, იტალიის საელჩოს ინიციატივით ამ ბოლო წლებში შედგა ბიზნეს-ფორუმი იტალიელი და ქართველი ბიზნესმენების და სახელისუფლებო წრეების მონაწილეობით. მსგავსი ღონისძიება მოეწყო იტალიაში — იყო ოთხი შეხვედრა მაღალ დონეზე. ყველაფერმა ამან საკმაოდ კარგი შედეგები მოგვცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ბოლო ოთხ წელიწადში, ანუ ჩემი ელჩობის პერიოდში, სავაჭრო ბრუნვა სამჯერ გაიზარდა. არ ვიცი, ზუსტად რის შედეგად მოხდა ეს, მაგრამ მომწონს ვფიქრობდე, რომ ამაში ჩემი წვლილიც არის. თუმცა მთლიანობაში სავაჭრო ბრუნვის მოცულობა ჯერ კიდევ ნაკლებია იმ პოტენციალზე, რაც ჩვენს ქვეყნებს აქვთ. შემიძლია სიამოვნებით აღვნიშნო, რომ იტალიური კვების მრეწველობის გიგანტი Ferrero აპირებს უახლოეს მომავალში მსხვილ ინვესტიციათა განხორციელებას, რის შედეგადაც საქართველოში შეიქმნება სოლიდური რაოდენობის სამუშაო ადგილები.

გარდა აღნიშნულისა, გვაქვს ტექნიკური თანამშრომლობა კონფლიქტურ რეგიონებთან, სადაც განვახორციელეთ რამდენიმე პროექტი ფიზიკური რეაბილიტაციის მიმართულებით. ამ მხრივ იტალია არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დონორი გაეროს, ევროკავშირის, ეუთოს, წითელი ჯვრის ხაზით განხორციელებული პროექტებისა. ზოგიერთი ტექნიკური პროექტი აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, აგრეთვე დმანისში არქეოლოგიურ გათხრებთან დაკავშირებით, ჩვენ დამოუკიდებლად შევასრულეთ. ასევე მნიშვნელოვანია დუშეთში ჰიდროელექტროსადგურის სარეაბილიტაციო სამუშაოები, თბილისის ცენტრის ზოგიერთი უბნის აღდგენა, თბილისის გარშემო სეისმურ სადგურთა ქსელის შექმნა მიწისძვრის პროგნოზირებისა და რეგისტრაციისათვის და სხვა პროექტები, რომლებიც იტალიის მხარის მონაწილეობითა და დაფინანსებით შესრულდა.

რაც შეეხება კულტურის სფეროს, ვფიქრობ, არც ამ მიმართულებით დაგვიკლია მცდელობა. ძალიან კარგი თანამშრომლობა გვაქვს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის საოპერო თეატრთან და ვ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიასთან. ჩემი მეუღლე პროფესიით მუსიკოსია, პიანისტი და მთელი ჩვენი აქ ყოფნის პერიოდში მჭიდრო კონტაქტები გვქონდა როგორც ხსენებულ დაწესებულებებთან, ასევე სხვადასხვა მუსიკალურ წრესთან. ჩემი მისიის დასრულების შემდეგაც ჩემი მეუღლე გააგრძელებს მათთან ურთიერთობას და ალბათ ხშირად ჩამოვა კიდეც. მას განზრახული აქვს რომსა და მილანში წარმოადგენდეს თბილისის საოპერო თეატრს.

ბიზნეს ფორუმებზე საუბარი გვქონდა საქართველოში ტურიზმის განვითარების საკითხებზეც. ამ სფეროში ჩვენ შეგვიძლია მეტი დახმარება, რათა თქვენს ქვეყანაში უფრო სოლიდური სტრუქტურა იყოს, რომელიც ჩვენი ტურიზმის სამინისტროს პარტნიორი იქნებოდა. მართალია, არსებობს ტურიზმის დეპარტამენტი, მაგრამ იქ იმდენად ხშირად იცვლება პერსონალი, რომ ჩვენ გვიჭირს ამ სფეროში სტაბილური პარტნიორის მოძებნა. საქართველოს კი ამ სფეროში არა მარტო დიდი პოტენციალი აქვს, არამედ საბჭოთა პერიოდიდან გადმოყოლილი დიდი გამოცდილებაც, როდესაც იგი ფაქტობრივად საბჭოთა სივრცეში ტურიზმის ცენტრი იყო. განსაკუთრებით დიდი პოტენციალი კი ჩემი, როგორც სათხილამურო სპორტის წარმომადგენლის აზრით, თქვენ გაქვთ ზამთრის სპორტის განვითარების თვალსაზრისით. მარტო გუდაური რად ღირს. ამ ცოტა ხნის წინათ იქ იყვნენ ჩვენი სპორტული ჟურნალისტები, რომლებიც აღფრთოვანებულნი დარჩნენ თოვლის ხარისხით, უქარო კლიმატით, დიდებული ხელუხლებელი გარემოთი...

**— იტალიელები, გარდა იტალიისა, სად მოგზაურობენ და ატარებენ შვებულების თუ არდადეგების დღეებს? თქვენი აზრით, მათი ინტერესის ქვეყანა შეიძლება თუ არა საქართველოც გახდეს?**

— იცით რა, ეს უფრო დამოკიდებულია მოდაზე, დროის ამა თუ იმ მეტ-ნაკლებად ხანგრძლივ პერიოდში. როდესაც მე ძალიან ახალგაზრდა ვიყავი, მოდაში საბერძნეთი იყო. შემდეგ მოდური გახდა ესპანეთი და ა.შ. ახლა კი ბევრი რამ შეიცვალა მას შემდეგ, რაც გამოჩნდნენ ახალი ავიაკომპანიები, რომელთა საშუალებით ძალიან იაფად, 5-დან 15 ევროს ფარგლებში შეიძლება იტალიიდან ჩაფრინდეთ პარიზში, ბერლინში, ლონდონში და ა.შ. ამ გაგებით კი, რიგითი ტურისტისათვის საქართველო პრობლემურია — ავიაბილეთი 600-700 ევრო ჯდება. მით უმეტეს, რომ არ არსებობს პირდაპირი რეისი თბილისი-რომი. ამ ფასად კი შეიძლება იმოგზაურო ამერიკაში, ბრაზილიაში და ა.შ. რა თქმა უნდა, არიან სხვადასხვა დარგის სპეციალისტები და შეძლებული ტურისტები, რომელთაც უნდათ ნაკლებად „ათვისებული“ ქვეყნების ნახვა, სადაც მათთვის ბევრი სიახლეა. მაგრამ ეს ხომ ზღვაში წვეთია...

**— თუ არის თქვენს მიერ წამოწყებული ისეთი პროექტები, რომლებსაც თქვენი შემცვლელი საქართველოში იტალიის ელჩის პოსტზე გააგრძელებს მომავალში და თუ არის უკვე თქვენთვის ცნობილი, ვინ იქნება ეს პიროვნება?**

— დიახ, ცნობილია, ეს გახლავთ ბატონი ვიტორიო სანდალი, ამჟამად იტალიის გენერალური კონსული სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში. შემიძლია გითხრათ, რომ ის ფრიად გამოცდილი და ძალიან მოტივირებული პიროვნებაა. დარწმუნებული ვარ, რომ იგი თავის მისიას მაღალ დონეზე განახორციელებს.

ელჩს ესაუბრა
**გიორგი რუხაძე.**

**ინფორმაცია**

## კოკოითი სააკაშვილთან შეხვედრას გეგმავს

სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითმა და ეუთო-ს საქართველოს მისიის ხელმძღვანელმა როი რივმა 31 მაისს, ცხინვალში კონფლიქტის ზონაში არსებული ვითარება განიხილეს.

კოკოითის თქმით, ცხინვალი მზადაა, რეალური ნაბიჯები გადადგას კონფლიქტის რეგიონში მდგომარეობის დარეგულირებისთვის. მისივე აზრით, საჭიროა, ცხინვალის რეგიონში სიტუაცია 2004 წლის 31 მაისის მდგომარეობას დაუბრუნდეს, ვიდრე იქ ქართული შეიარაღებული ფორმირებები შევიდოდნენ.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ აუცილებელია საქართველოსა და სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტების შეხვედრის ორგანიზება, რომლის დროსაც გაფორმდება მემორანდუმი შეიარაღებული ძალების, ასევე, სოციალური და ჰუმანიტარული კომუნიკაციების პოლიტიკური მიზნებისთვის გამოუყენებლობაზე.

## ბლოკადა დროებით მოიხსნა

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ედუარდ კოკოითის მიერ დაწესებული წყლის ორდღიანი ბლოკადა გუშინ მხოლოდ დროებით მოიხსნა.

ოსურმა მხარემ ჯავის რაიონში არსებული წყლის სათავე ნაგებობა გახსნა. თუმცა, რამდენიმე წუთის წინათ, მას შემდეგ, რაც თბილისის მერი და თბილისის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი კობა სუბელიანი, დიმიტრი სანაკოევთან ერთად, დიდი ლიახვის ხეობაში ახალი ჭაბურღილის გახსნას ესწრებოდნენ, წყალი ისევ გადაიკეტა.

უცნობია, რატომ მიიღო კოკოითმა წყლის სათავე ნაგებობის გახსნის ან ხელახლა გადაკეტვის გადაწყვეტილება.

თბილისის მერი გიგი უგულავა კი აცხადებს, რომ დიდი ლიახვის ხეობის ქართულ მოსახლეობას ახალი ჭაბურღილის ამოქმედებით სასმელი წყლის პრობლემა აღარ ექნება და კოკოითის მთავრობაზე დამოკიდებული აღარ იქნება.

თბილისის მერი და დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი დიმიტრი სანაკოევი სოფელ თამარაშენში ადგილობრივი მოსახლეობისთვის პურის ფქვილის განაწილებასაც დაესწრნენ.

თითოეულმა ოჯახმა თითო ტომარა პურის ფქვილი საჩუქრად მიიღო.

**ინტერპრესნიუსი**



# ეკონომიკა

• საგადასახადოს თანამშრომელთა ერთი ჯგუფი აიძულეს, დაკავშირებოდნენ მეწარმეებს და ბიზნესის ხელშემშლელი მუქარით გარიგებაზე დაეთანხმებინათ, მათ მშვენივრად გამოიყენეს ცალკეულ მეწარმეთა საბუღალტრო შეცდომები, ლეგალური ბიზნესის წარმართვის რთული წესები, რაშიც ისინი ხშირად ვერ ერკვევიან და დაემუქრნენ მკაცრი ადმინისტრირებით



◎ აიწონა-დაიწონა

## დაქირავებულს მთლიანად დამქირავებლის ხახაში აქცევს

### ვინ იხეირებს ამ ცვლილებით?

**პრეზიდენტის** ინიციატივით, მთავრობა 12-პროცენტიანი საშემოსავლო და 20-პროცენტიანი სოციალური გადასახადების გაერთიანებასა და მათი ჯამის 25 პროცენტამდე შემცირებაზე მუშაობს.

უმრავლესობის მტკიცებით, ეს დიდი შეღავათია ყოფილი დაქირავებული მუშაკისთვის, ხოლო ოპოზიცია ამბობს, ამით დამქირავებელი, ფაქტობრივად, თავისუფლდება ამ გადასახადისგან, დაქირავებულს კი 12-პროცენტიანი საშემოსავლოს ნაცვლად, 25-პროცენტიანი გადასახადის გადახდა მოუწევსო. უმრავლესობა იმითაც იწონებს თავს, ამ ქმედებით ბიუჯეტი ასეულ მილიონობით ლარით დაზარალდება, მაგრამ, ხალხის საკეთილდღეოდ, შეგნებულად მივდივართ ამაზეო.

ხელისუფლება სიცრუეში დაადანაშაულა „რესპუბლიკელთა“ ერთ-ერთმა ლიდერმა თინა ხიდაშელმაც.ბრიფინგზე საგადასახადო კოდექსში შესატან ამ ცვლილებას მან ხალხის მატერიალურად კიდევ უფრო დამზარალებელი უწოდა.

ეს მართლაც ასე თუ არა, იურისტებისა და ეკონომისტების გასარკვევია, მაგრამ ხელისუფლების მთელი ე. წ. სოციალური პოლიტიკა ცხადყოფს, რომ მათს მიერ ხალხის საკეთილდღეოდ მიმართული რეფორმები თუ ცვლილებები, სწორედ ხალხის გამლატაკებელია. „ხალხის საკეთილდღეოდ“ გაუქმდა თითქმის ყველა შეღავათი, ძალზე გაძვირდა ელექტროენერგია, გაზი, წყალი, ნაგვის გადასახადი, ტრანსპორტი. ალბათ, ამავე ლოგიკითაა ხალხის საკეთილდღეოდ მიმართული ზემოაღნიშნული ცვლილებაც. ამ ეჭვს ესეც აძლიერებს: უმრავლესობის ერთ-ერთმა წევრმა ამაყად განაცხადა, წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა სახელმწიფო ლიმონათის ჩამომსხმელის დანიშვნაშიც ერეოდაო. სიმართლე გითხრათ, საქმეების ჩაწყობის მთელი სისტემის მიუხედავად, სახელმწიფოს ასე დაწვრილმანება არ მახსოვს. მაგრამ სახელმწიფომ აუცილებლად უნდა დაადგინოს ის მინიმუმი, რომელზეც ნაკლები გადასახადის უფლებაც დამქირავებელს არ ექნება. ასეა ყველა ნორმალურ სახელმწიფოში. ზემონახსენები განცხადებით კი სახელმწიფო ამაზე ხელს იბანს და დაქირავებულს მთლიანად დამქირავებელის ხახაში აქცევს.

**კოტე სარალიძე**

◎ ეს პრეზიდენტმა არ უნდა იცოდეს

*ეს ამბავი, ანუ მეწარმეების გაპარსვა, ამ დღეებში გამართულ საქველმოქმედო ბიზნეს-ლანჩთან დაკავშირებით გამახსენდა. „ლანჩზე“ რა მოგახსენოთ, მაგრამ ყველაფრიდან ჩანდა, რომ ამჯერად მეწარმეები „საკუთარი სურვილით“ გაიპარსნენ და, ბუნებრივია, პროტესტის გრძნობაც არავის გასჩენია. პირიქით, იყო მიღწეულით ტკბობისა და საყოველთაო კეთილდღეობის განწყობა, რასაც დამაჯერებლობის ხარისხი ქვეყნის პრეზიდენტის დათაფლულმა გამოსვლამ შემატა. როგორც ბატონმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, ისტორიას ჩაბარდა მეწარმეთა ცხოვრებისა და საქმიანობის ის მწარე წლები, როცა ისინი აუტანლად იტანჯებოდნენ გაუმართლებლად მძიმე გადასახადებით, ხელისუფალთა და მაკონტროლებელთა მხრიდან ზეწოლითა და დაშანტაჟებით. მორჩა, ის დრო წავიდა და აღარასოდეს დაბრუნდება. მეწარმე დღეს ლაღია და თავისუფალი, მას უბატონოდ ხმას ველარავინ გასცემს, რაც ქვეყანაში ეკონომიკის აღმავლობის, უცხოური ინვესტორების მოზიდვის, ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების უტყუარ წინაპირობას ქმნის.*

## ხელისუფლებამ მეწარმეები ცხვირიბიჯით გაპარსა

### გადააგდე ბადე და თევზი ამოჰყევება

იმ ისტორიული ბიზნეს-ლანჩიდან მეორე თუ მესამე დღეს თითქმის იგივე აზრი გაიმეორეს ტელევიზიით გამოსვლისას ქვეყნის ულტრაბიზნესმენებმა მაია რჩეულიშვილმა, თემურ ჭყონიამ და სხვებმა, რომელთაც განაცხადეს, რომ საქართველოში მეწარმეობის განვითარებისთვის საუკეთესო ბიზნესგარემოა შექმნილი.

მოდი და ნუ დაიჯერებ. როცა პრეზიდენტი გეუბნება, რომ ჩვენს მეწარმეებს ზღაპრულ გარემოში უხდებათ მუშაობა და ამასვე ადასტურებენ ქვეყნის წარმატებული ბიზნესმენები, რა უფლება გაქვს, არ დაიჯერო? თუმცა, თუ ჟურნალისტი გქვია, არც იმის უფლება გაქვს, ბოლო



პერიოდში გახმაურებული მეწარმეთა საკუთრების ხელყოფის (ნაგებობათა უკანონო ნგრევის), ორთაჭალაში გოგირდის აბანოების სახელმწიფოსათვის „ჩუქების“, ოპერაცია „მარცხენა ჯიბის“ სახელით მონათლული „აბლავისას“ მეწარმეთა ერთი ჯგუფის საპყრობილეში გამომწყვდევის აღმაშფოთებელი ფაქტები არ გაიხსენო. არ გაიხსენო და დასკვნაც არ გამოიტანო — რასაც ყოვედღიურად ჩაგძახიან და ჩაგჩიჩინებენ, იქიდან რა არის სიმართლე, და რა კიდევ — ტყუილი?

რა თქმა უნდა, არსებობს წარმატებით ტკბობის ერთგვარი საფუძველი — საბიუჯეტო შემოსავლების განუხრელი ზრდა, მიხი დეფიციტის პროფიციტით შეცვლა, მაგრამ ეს ყველაფერი ძირითადად ხდება არა მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებით, რამაც უნდა ზარდოს ქვეყნის ეკონომიკა და მოსახლეობის კეთილდღეობა, არამედ გადასახადების ამოღების ადმინისტრირების გამკაცრებით, მეწარმეთა რეკეტითა და დაშინებით, რაც, არცთუ იშვიათად, მათი დაპატიმრებითაც მთავრდება.

ამის მაგალითია ზემოთ ნახსენები გახმაურებული „ოპერაცია“, რომელიც „მარცხენა ჯიბის“ სახელით მოინათლა და მეწარმეთა საპყრობილეში ჩასმით დაგვირგვინდა. როგორც ამ „ოპერაციის“ მსხვერპლნი ყვებიან (გასაგები მიზეზების გამო გვარებს არ ვასახელებ, თუ ვინმე დაინტერესდება, ზუსტი ინფორმაციის მიღება კომპიუტერში პროკურატურის საიტიდან შეუძლია), წინასწარ შეარჩიეს მეწარმეთა სპექტრი და მოახდინეს მათი დაშანტაჟებაპროვოცირება. კერძოდ, საგადასახადოს თანამშრომელთა ერთი ჯგუფი აიძულეს, დაკავშირებოდნენ მეწარმეებს და ბიზნესის ხელშემშლელი მუქარით გარიგებაზე დაეთანხმებინათ. მე თქვენ გეტყვით, მიზეზს ვერ გამოუძებნიდნენ. მათ მშვენივრად გამოიყენეს ცალკეულ მეწარმეთა საბუღალტრო შეცდომები, ლეგალური ბიზნესის წარმართვის რთული წესები, რაშიც ისინი ხშირად ვერ ერკვევიან და დაემუქრნენ მკაცრი ადმინისტრირებით, ზოგან — მიმდინარე რევიზიით, ობიექტების დახურვით და რით აღარ.

და ეს მაშინ, როცა ჩვენი ხელისუფალნი საქვეყნოდ აცხადებენ, რომ საქართველოში მოქმედი საგადასახადო პოლიტიკა, ლეგალური ბიზნესის კეთების მარტივი წესები ყველა მეწარმეს აძლევს საშუალებას — იმუშაოს ღიად და გამჭვირვალედ, დაასაქმოს ადამიანები, მოგება ნახოს თვითონაც და სახელმწიფომაც.

თუ როგორი მოგება ნახეს „მარცხენა ჯიბის“ მოყვარულმა მეწარმეებმა, ამაზე ერთი მათგანის მონაყოლი მეტყველებს:

— ვხედავ, უკანონოდ დამაპატიმრეს, მაგრამ გულს არ ვიტეხ. ვფიქრობ, შემოვა გამომძიებელი, ყველაფერს უტყუარად მოვუყვები, ავუხსნი. სამართალდამცავები დარწმუნდებიან ჩემს უდანაშაულობაში და გამიშვებენ. არ შევმცდარვარ, გამომძიებელი მართლაც შემოვიდა საკანში, მაგრამ მას არაფერი გამოუკვლევია, პირდაპირ მომმართა:

— ბატონო მეწარმევ, გარიგებაზე წამოსვლას გთავაზობთ.

— რის გარიგებაზე, მე არაფერი დამიშავებია?

— მაგრამ თქვენ უკვე ზიხართ ციხეში. ან საპროცესო გარიგებაზე დაგვთანხმდებით და დათქმულ თანხას გადაიხდით, ან ოთხ წელიწადს ციხის კედლების ლესვა მოგიწევთ.

— რატომ, ბატონო გამომძიებელო, მე ხომ უდანაშაულო ვარ.

— მაგას არა აქვს მნიშვნელობა. არჩიეთ, ციხეში ჯდომა გირჩევნიათ თუ ბიზნესის გაგრძელება და შვილებთან ყოფნა?

— არ ვიცი, ამდენი ფული საიდან შევაგროვო?

— ბიზნესპარტნიორები გეყოლებათ; მეგობრები, ნათესავები, სთხოვეთ და შეგიგროვებენ. თუ მოისურვებთ, დაგეხმარებით და ბანკიდან კრედიტს აგაღებინებთ.

— როგორ, ბანკში გამიშვებთ სასესხებლად?

— არა, თავად ბანკის მმართველს მოვიყვანთ აქ და ხელშეკრულებას გავაფორმებინებთ.

— მართლა მოიყვანეს? — ვეკითხები.

— ჩემთან არა, მაგრამ მეორე მეწარმესთან მოიყვანეს და სესხი გაუფორმეს. იყო ისეთი შემთხვევაც, როცა ერთი ძმა ციხეში ჩასვეს, ხოლო მეორე ძმას სახლიკაცის გამოსახსნელად ბანკიდან კრედიტი აალებინეს.

— ბოლოს როგორ დამთავრდა თქვენი საქმე, გარიგებაზე წახვედით?

— თუ ამას გარიგებას დავარქმევთ, კი. მათ ფაქტობრივად გარიგება კი არა, ულტიმატუმი წამომიყენეს, რომლის შეუსრულებლობის შემთხვევაში, წლობით პატიმრად დავრჩებოდი. მეტი რა გზა მქონდა. სახლში თუ რამე ღირებული მქონდა, გავყიდე,

იხ. 6 გვ.

◎ გამოფენა

## მომავალი შეხვედრების მოლოდინში

**ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების პირველი საერთაშორისო გამოფენა „ვაინ ექსპო — ჯორჯია 2007“ გაიხსნა გუშინ გამოფენების ცენტრ „ექსპოჯორჯიაში“. საზეიმო გახსნისას „ექსპო-ჯორჯიას“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ კახა გველესიანმა აღნიშნა, რომ „საქართველო ახლო მომავალში „ღვინის შეხვედრების“ საერთაშორისო ადგილად გადაიქცევა“. ბატონმა თავმჯდომარემ ასევე დასძინა, რომ ამის განსახორციელებლად აუცილებელია სწორი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის გატარება, რაც უწინარესად, სოფლის მეურნეობისთვის ხელის შეწყობასა და სათანადო ფინანსური დისციპლინის დამყარებაში უნდა აისახოს.**

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრმა პეტრე ცისკარიშვილმა თავის მხრივ განაცხადა, რომ ხელისუფლების მოღვაწეობის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად კვლავაც სოფლის მეურნეობის განვითარება, მათ შორის, მეღვინეობა რჩება, რაც, უწინარესად, სამამულო ღვინის წარმოების მსოფლიო ბაზარზე ღირსეულად წარმოჩენას შეუწყობს ხელს.

„ვაინ ექსპო-ჯორჯია 2007“-ზე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის დაახლოებით 70 კომპანიაა წარმოდგენილი, მათ შორის არიან ამერიკის შეერთებული შტატების, მოლდავეთის, იტალიის, საფრანგეთის, პორტუგალიის, რუსეთისა და ესტონეთის ფირმები.

**საკუთარი ინფორმაცია**



№ 103. შაბათი, 2 ივნისი, 2007 წელი.

# ეკონომიკა

მეწარმეები ქვეყანაში ფაქტობრივად დაუცველები არიან — ზოგს აყაჩაღებენ (კლავენ კიდეც), ზოგს რეკეტს უწყობენ, ზოგს უდანაშაულოდ აპატიმრებენ, ცხვარივით „პარსავენ“ და შინ გალატაკებულს უშვებენ. თანაც „გაპარსულს“ ეგრეთ წოდებული „საპროცესო გარიგების“ თანხას სასამართლო კი არ უდგენს, ამას თავად სამართალდამცავი ორგანოების ცალკეული ჩინოვნიკები წყვეტენ



№ 103. შაბათი, 2 ივნისი, 2007 წელი.

◉ ყოფა

## მინდობილობით „აღჭურვილთ“

### პენსიის აღება შორ გზაზე მოუწევთ

**რედაქციაში მისულს ამბავი დამახვედრეს, ჩვენმა ერთ-ერთმა ყოფილმა კოლეგამ, ღვაწლმოსილმა ჟურნალისტმა და შესანიშნავმა ადამიანმა შეწუხებულმა დარეკა: ეს რა უქნია სახალხო ბანკს, ჩემმა შვილმა აწი ჩემი პენსია სახლიდან ძალიან შორს, ნუცუბიძის პლატოზე უნდა აიღოს, თურმე ისინი, ვისაც მინდობილობა აქვს, სახალხო ბანკის სიკეთით ვეღარ ისარგებლებენ და ვაკე-საბურთალოს რაიონში მხოლოდ ერთ ადგილას მოუწევთ ფულის აღებაო.**

ეს ნათქვამი იმდენად მოულოდნელი და დაუჯერებელი აღმოჩნდა, ქვა ავაგდე და თავი შევუშვირე — ვერ დავიჯერებ, სახალხო ბანკმა ეს მოიმოქმედოს, სულ რამდენიმე დღის წინათ სრულიად თავისუფლად სწორედ სახალხო ბანკის ფილიალში, აქვე, რედაქციასთან ახლოს, დედაჩემის პენსია ავიღე და იქ ამის თაობაზე არაფერი უთქვამთ-მეთქი.

ცოტა ხნის შემდეგ, რა თქმა უნდა, ჩემს სიმართლეში დარწმუნებულმა, მაინც გადავამოწმე და კოლეგას სახლში დავურეკე. ბატონი გიორგი მართლაც ძალიან შეწუხებული ჩანდა: თუ არ გჯერა ჩემი ნათქვამი, ახლავე მიდი სახალხო ბანკის რომელიმე ფილიალში და იქ წაიკითხავ განცხადებასო.

ალარ დავაყოვნე და სახალხო ბანკის ერთ-ერთ ფილიალში მივედი, მინის კარებზე მართლაც დამხვდა გაკრული განცხადება, პირველი ივნისიდან ვაკე-საბურთალოს მცხოვრებნი პენსიებსა და სოციალური პროექტების თანხებს მინდობილობით ნუცუბიძის პლატოზე, მეორე მიკრორაიონში, 130-ე ბაგა-ბაღის მახლობლად მდებარე სახალხო ბანკის ფილიალში აიღებთო...

სახალხო ბანკისგან ასეთ არასწორ, ხალხისთვის გაუარესებულ მომსახურებაზე წასვლას ნამდვილად არ ველოდი. გამოდის,რომ დედაქალაქის რაიონებში მხოლოდ თითო-თითო ბანკი მოემსახურება ათასობით მინდობილობით მისულ ადამიანს. ამას კი, ვფიქრობ, დიდი გაუგებრობა და აღშფოთება მოჰყვება.

ნუთუ წარსულს ალარ უნდა ჩაბარდეს მოსახლეობის წამება პენსიების გაცემისას? არცთუ შორეულ წარსულში თავად გვინახავს ცხელ ზაფხულში რამდენი მოხუცი პენსიონერი გრძელ რიგში ცუდად გამხდარა და სასწრაფო გამოუძახიათ! საქართველოს პრეზიდენტმა წერტილი დაუსვა ამ განუკითხაობას, პენსიონერები და მათი ოჯახის წევრები იხსნა ნამდვილი ტანჯვისგან.

სწორედ საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მოთხოვნითა და განკარგულებით ამ ორიოდე წლის წინათ ისე გამარტივდა და მოხერხებული გახდა ბანკის მომსახურება, რომ ამით მთელი მოსახლეობა კმაყოფილი დარჩა. ასე გრძელდებოდა დღემდე და ვერ გამიგია, სახალხო ბანკის მესვეურებს რატომ დასჭირდათ ასე კოხტად, მძივივით აწყობილი საქმის გართულება და მოსახლეობის იმედების გაცრუება? დღემდე მინდობილობით სრულიად იოლად გაიცემოდა პენსიები, დახმარებები და ახლა რა ბზიკმა უკბინათ?.

არა მგონია, ვინმეს მოეწონოს სახალხო ბანკის ეს გადაწყვეტილება. მოხუცები, ინვალიდები, იმიტომ რომ მათ გადაადგილება არ შეუძლიათ, ოჯახის წევრებს მინდობილობით ანდობენ თავიანთ კუთვნილ პენსიას და ამაში გასაკვირიც არაფერია.

**გასაკვირი ის გახლავთ, რომ ადამიანმა, რომელსაც სახლში ინვალიდი მეუღლე, შვილი ან მშობელი ელოდება, სახლიდან რამდენიმე კილომეტრი უნდა გაიაროს, რიგში ჩადგეს და ასე ვაი-ვიშით აიღოს პენსია.**

საინტერესოა, ვის აძლევს ხელს სოციალური ფონის კიდევ უფრო დაძაბვა თბილისში და გაჭირვებული ხალხის ინტერესების უგულებელყოფა?

სახალხო ბანკის მიერ გადადგმული ეს ნაბიჯი, დარწმუნებული ვარ, პრეზიდენტის, ხელისუფლების, მთავრობის, ხალხის ვერანაირ მოწონებას ვერ დაიმსახურებს.

საქმე ის გახლავთ, რომ თვით სახალხო ბანკის ფილიალებშიც თანამშრომლები გაოცებულნი არიან თავისი თავკაცების ასეთი გადაწყვეტილებით და ამბობენ, ნეტავი გაგვაგებინა, გოგუაძეს ვინ ურჩია ასეთი არაპოპულარული ნაბიჯის გადადგმაო. მართალია, გვარისა და სახელის გამხელა არ ისურვეს ბანკის ფილიალებში მომუშავეებმა, მაგრამ ნათლად გამოხატეს თავიანთი აზრი და თქვეს, რომ მათთვის იოლი არ არის მთელი მონაცემთა ბაზის გადასინჯვა, მინდობილობების ამოკრეფა და იმ დასახელებულ ფილიალში გაგზავნა. არ გვიჭირდა, მშვენივრად ვემსახურებოდით ყველას, რიგები არ იყო, ყველანი კმაყოფილები ჩანდნენ და სიტუაციის ასეთი დაძაბვა რა საჭირო არისო. ისიც ვერ გაუგიათ, ნებისმიერი ადამიანი, ვთქვათ, ფალიაშვილის ქუჩიდან, ნუცუბიძის პლატოზე რატომ უნდა წავიდეს პენსიის ასაღებად?

ვფიქრობთ, ასეთი შეკითხვები თბილისის სხვა რაიონებში მცხოვრებ ნებისმიერ „მინდობილობიან“ ადამიანს გაუჩნდება.

სახალხო ბანკის ფილიალში მისულს რამდენიმე აღშფოთებული მოქალაქე დამხვდა: **ეს რა უქნიათ, სად გვცალია ნუცუბიძის პლატოზე ვიაროთ, რატომ გაართულეს ასე საქმე, უჭირო ჭირს ძალით რატომ ქმნიან, ნუთუ ასე ასრულებენ პრეზიდენტის მოთხოვნებს და დავალებებსო.**

ძალიან გვთხოვეს, სახალხო ბანკის მესვეურებს ხმა მივაწვდინოთ, ეგებ თავიანთი მცდარი გადაწყვეტილება შეცვალონ და მინდობილობით პენსიების აღება ისევ შეუფერხებლად გაგრძელდეს, როგორც დღემდე იყო, ეს ყველასათვის სასარგებლო იქნებაო...

მართლაც ამ ახალი ინფორმაციის გასარკვევად სახალხო ბანკს დავუკავშირდი. სახალხო ბანკის საოპერაციო რისკების მართვის განყოფილების სპეციალისტმა ეკა ცალქალამანიძემ მითხრა, **რომ მართალია მოსახლეობა ჯერჯერობით, მთლიანად კარგად არ არის გარკვეული ამ საკითხში, მაგრამ, ვფიქრობ, თანდათანობით ყველაფერი ნათელი გახდება. ასეთი ნაბიჯის გადადგმა იმან გვაიძულა, რომ ზოგჯერ მინდობილობა ყალბია. ახალ სერვის-ცენტრებში ეს უკეთ გაკონტროლდება.** გარდა ამისა, ვისაც არ შეუძლია თავად მივიდეს პენსიის ასაღებად, პირადი განცხადების საფუძველზე მათ ჩვენი კურიერი უსასყიდლოდ, როგორც ადრე იყო, მოემსახურება და სახლში მიუტანს პენსიას ან სხვა სახის დახმარებას. ამით კონტროლიც გამკაცრდება, ბანკიც დაზღვეული იქნება და მომხმარებელიც. პენსიონერების ახლობლებს არ მოუწევთ ნოტარიუსთან მისვლა და მინდობილობის აღება. გარდა ამისა, შევიმუშავეთ ექვსთვიანი დამატებითი ბარათი, რომლითაც შეიძლება ისარგებლოს პენსიონერის ახლობელმა და ისე აიღოს პენსია. ბარათის ღირებულება ერთი ლარია. ადვილ, გაიოლებულ საქმეს დიდი რისკი ახლავს თან. რისკიდან რომ თავი დაგვეზღვია, უკეთესი კონტროლისთვის ასეთი რამ მოვიფიქრეთო.

**ლალი ძინძლაძე**

◉ ეს პრეზიდენტმა არ უნდა იცოდეს

## ნულისტოლერობამ მეწარმეები ცხვრებივით გაპარსა

(მეხუთე გვერდიდან)

ნათესავები, მეგობრები და პარტნიორებიც შევაწუხე და თავი დავიხსენი.

— ყოველივე ამის შემდეგ ღირს კი ბიზნესის გაგრძელება?

— ალბათ არა. შეშინებული ბიზნესმენი ვერც საკუთარ თავს მოუტანს სარგებელს და ვერც ქვეყანას.

ამ აზრს დღეს საქართველოში არა ერთი და ორი მეწარმე იზიარებს. ვერც გაამტყუნებ, ისინი ქვეყანაში ფაქტობრივად დაუცველები არიან — ზოგს აყაჩალებენ (კლავენ კიდეც), ზოგს რეკეტს უწყობენ, ზოგს უდანაშაულოდ აპატიმრებენ, ცხვარივით „პარსავენ“ და შინ გალატაკებულს უშვებენ. თანაც „გაპარსულს“ ეგრეთ წოდებული „საპროცესო გარიგების“ თანხას სასამართლო კი არ უდგენს, ამას თავად სამართალდამცავი ორგანოების ცალკეული ჩინოვნიკები წყვეტენ. თუ იმ საწარმოებს და ორგანიზაციებს გადახედავთ, რომლებიც მსგავსი „ოპერაციით“ დააყაჩალეს, დარწმუნდებით, რომ მათმა უმრავლესობამ პატიმრობას თავი ბანკის სესხებით, საწარმოთა გამაკოტრებელი ზარალით და „საპროცესო ულტიმატუმით“ დააღწია და არა როგორც თავად უწოდებენ — „საპროცესო გარიგებით“.

მერე ცოტა თანხა მაინც უჯდებოდეთ „საპროცესო გარიგების“ მონაწილე მეწარმეებს. მარტო ამჯერად მათ, როგორც ხმა გავრცელდა, 12 მილიონი ლარი ააფცქვნეს. მერედა ვის ანგარიზე შევიდა ამდენი თანხა? მეწარმეები აიძულეს, ფული შეეტანათ სპეცანგარიშზე, საიდანაც თურმე ძალოვანი ჩინოვნიკები გრანტებს იღებენ (!).

თანაც ეს ყველაფერი მოხდა ღიად, მთელი საზოგადოების თვალწინ, მაგრამ მეწარმეთა დასაცავად ხმა არავის ამოუღია — არც ბიზნესის ფედერაციიდან, არც „მრეწველებიდან“, არც პრესიდან (ერთი-ორი გაზეთის გარდა). ასე მეწარმეებს, მაშინდელი გაგებით „საქმოსნებს“, კომუნისტები გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში ექცეოდნენ, როცა უდანაშაულო ადამიანებს ციხეში ისტუმრებდნენ. როგორც ჩანს, იმ დროიდან მოყოლებული ჩვენში არაფერი შეცვლილა, შეიცვალნენ მხოლოდ დრო და მოქმედი პირები. ოპერაციას სახელიც კი ძველი „ობეხესდ-როინდელი“ შეურჩიეს — „მარცხენა ჯიბე“. „მარცხენა“? დღეს ეკონომიკაში ჩაუხედავი და გაუთვითცნობიერებელი ვინმე თუ იხმარს ამ სიტყვას.

როცა მეწარმეებზე ვლაპარაკობთ, აქვე უნდა ვთქვა — ამ ფონზე არც საგადასახადო სამსახურის მუშაკთა დაკავება-და



პატიმრება გამოიყურება უმტკივნეულოდ. მათ შორის ხომ ბევრი უდანაშაულო ახალგაზრდა მოყვა, რომლებიც გამოუცდელობისა და პროვოკაციის წყალობით ბინძური კარიერისტებისა და გამომძალველების მსხვერპლნი გახდნენ.

ნებისმიერ ქვეყანაში, სადაც ეკონომიკის განვითარებაზე ზრუნავენ, მეწარმეობა სახელმწიფოს ძლიერების ნიშნად აღიქმება. მაშ რა ხდება ჩვენთან, როგორ გავიგოთ პრეზიდენტის სიტყვები, როცა ის ამბობს, რომ ქვეყანაში ბიზნესს მწვანე შუქი უნთია, მეწარმეთა საკუთრებას ბინძური ხელი ველარასოდეს შეეხება, ამ დროს კი მათ მიმართ დამსჯელი ღონისძიებები (რა თქმა უნდა, დაუმსახურებელი) ხორციელდება? ნუთუ პრეზიდენტმა არ იცის, რეალურად რა ხდება მის ქვეყანაში?

ამ კითხვაზე პასუხი არც თუ იოლი გასაცემია. ზოგი გულუბრყვილო ფიქრობს, რომ პრეზიდენტმა ამის თაობაზე არაფერი იცის, იმიტომ, რომ არ ეუბნებიან. ზოგს ჰგონია, რომ ეს ყველაფერი დადგმული სცენარია, პრეზიდენტი ყველაფერს ხედავს და განიცდის, მაგრამ ლაპარაკობს მხოლოდ იმას, რაც მას ხელს აძლევს. ზოგი კი თვლის რომ ეს ამბები, რაც ქვეყნისა და მაწარმეების საწინაალმდეგოდ ხდება, პრეზიდენტმა საერთოდ არ უნდა იცოდეს.

**რატომ?**

**მხოლოდ ერთი გაგებით — პრეზიდენტი სააკაშვილი ჭეშმარიტების, სიმართლის პირში მთქმელი კაცია. მას არავისი და არაფრისა ერიდება, სააშკარაოზე გამოაქვს ყველა ნაკლი და ხინჯი, რასაც თვითმფრინავით თუ ფეხდაფეხ გადაეყრება. ჰოდა, მისი ეს თვისება, თუკი ყველაფერი ეცოდინება, შეიძლება ქვეყანას წალმასვლის ნაცვლად უკუღმა შემოუტრიალდეს — საქართველომ მსოფლიოს თვალში დაკარგოს ის მაღალი და განუმეორებელი იმიჯი, რასაც მან „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ პერიოდში მიაღწია.**

ა, თურმე რამდენი სიფრთხილე გვმართებს!

**ოთარ ხუციშვილი**

# ჩვენ

არადა, ჩვენი ჩაუქი, ფეხმარდი და მოგზაურობას გადაყოლილი პრეზიდენტი აგერ ქობულეთშიც დაპირდა ერთ სიმპათიურ, ტოტოზე გულშევარდნილ ქალიშვილს, მაგას თქვენთანაც ჩამოგიყვანთ, პრობლემა არ არისო. ნეტავ, ეს ახალი „ატოტოება" რამდენილა დაჯდება?..



## ბუზღუნა ბერიკაცი

# მარიაჟობას ვეღარ უნდა მოვრჩეთ?

ჩვენმა გაზეთმა კარგა სუსხიანად გაკენწლა ტოტო კუტუნიოს სახელის გარშემო თბილისში ატეხილი მორიგი ქარაფშუტული აყიოტაჟი — სუსხიანად და სამართლიანადაც. ამბობენ, რომ ამ, აწ უკვე ჩამოწერილი საესტრადო ვარსკვლავის „ჩამობრწყინება" 300 ათასი დოლარი დამჯდარა.

ამრიგად, რუსლანას მოსმენა და მიბნედილი თვალებით უმაღლესჩინოსნის ყურება ადრე 500 ათასი დოლარი დაგვიჯდა, მერე ლოპესის, ბოდიში და, მადიანი უკანალის ახლოდან ჭვრეტაში კინაღამ მილიონი დოლარი გადავიხადეთ, ახლა დამოუკიდებლობის დღეს გამოვიჩინეთ სამასათასდოლარიანი „ჯიბეგაშლილობა". რა, „სულიკოს" კუტუნიოზე უკეთ აქ ვერავინ ვერ გვიმღერებდა? რასაა, რომ ჩავდივართ და ვისაა, რომ ვაკვირვებთ, სანამ დაქცეული, ფასების ზრდით წაყრონჭილი ქვეყანა ვართ, მანამდე მაინც ვერ უნდა ვისწავლოთ გონივრული, ეკონომიური ცხოვრება? ეგ 300 ათასი დოლარი ხომ ასე წაადგებოდა, მაგალითად, ახლახან ქარბორბალაგადავლილ და მინგრეულ-მონგრეულ დუშეთს?..

არადა, ჩვენი ჩაუქი, ფეხმარდი და მოგზაურობას გადაყოლილი პრეზიდენტი აგერ ქობულეთშიც დაპირდა ერთ სიმპათიურ, ტოტოზე გულშევარდნილ ქალიშვილს, მაგას თქვენთანაც ჩამოგიყვანთ, პრობლემა არ არისო. ნეტავ, ეს ახალი „ატოტოება" რამდენილა დაჯდება?..

ისე, ცნობილ პიროვნებათა მამების ქართველობას რაც შეეხება (ტოტო კუტუნიოსი, პეტრე დიდისა, ნაპოლეონისა, ჰიტლერისა...), არც ისე ცუდად გვქონია საქმე. აგერ, ახალ (24 მაისს) რუსეთულ „ტრუდში" გამოვჩხრიკე: ალექსანდრე პოროხოვშჩიკოვს, გამოჩენილ მოსკოველ კინომსახიობს, თეატრალურ მსახიობს, პროფესორს, რამდენიმე საუწყებო აკადემიის აკადემიკოსს, რუსეთის სახალხო არტისტს, 1939 წელს დაბადებულს, მშობელი მართლაც ქართველი ჰყოლია: „რაც უნდა იყოს, საშა მამით ქართველია, ამიტომაც ცხოვრებაში ისეთი თავშეკავებული არ არის, როგორც ეკრანზე", — ამას მისი მეუღლე ამბობს, 29 წლით უმცროსი ირინა პოროხოვშჩიკოვა.

მამამთილის გვარს არ ასახელებს...

**თამაზ ეგანოიძე**

## პრობლემა

# „ლალხორ" — სატკივარს უჩიოდა სვანეთი!

... მორევს ცისარტყელასავით გადაეფარა ბადე. შხეფები ნაპირზე გაიბნა ცრემლებივით და ატყმარცალდნენ ცხენისწყლის ვარსკვლავებიანი კალმახები.

გზა ხიდზე გადადიოდა და მდინარის გაღმა მიუყვებოდა აღმართს.

— აუ, უ, თევზაობენ, დია, თევზაობენ! — ბროლივით კრიალა ხმები დაეშვა გაღმა სოფლიდან და ხმას ძელქვასავით ჯანმაგარი ბიჭები გადამოყვნენ დაღმართზე. მერე, ცისფერთვალება, სურნელებასავით ჰაეროვანმა გოგონებმა ააცისკროვნეს ცხენისწყლის ნაპირები და მზე უფრო აკიაფდა ტალღებში.

— ყველა ერთმანეთს ვინ დაგამგვანათ, დალოცვილებო, ლამაზები და კარგები?

— ცხენისწყალში ყველა ერთმანეთს ჰგავს კალმახი...

— ოჰო! დალოცვილი ენა გქონია ასე პატარას!

— ნანარელები ვართ ჩვენ...

— გამიგონია, დიდებული ადამიანები ცხოვრობენო ნანარში...

— მააშ!

— მო, ახლოს, უბეში ჩაისვი ეს კალმახი, შინ წაიყვანე, მაგ დალოცვილი, სიამაყისთვის და აუზში ჩასვი... დაგიმშვენებს ფუძეს... ვისი ხარ, ვაჟო?

— დოდო ლიპარტელიანის ვართ ჩვენ, ყველანი...

— ექვსივე?

— კიდევ ოთხია სახლში! — ბიჭმა მკერდზე მიიხუტა კალმახი, წყალში შეტოპა და ტალღებში გაიელვა ოდნავ ჩრდილისფერგადაკრულმა მოლანდებამ...

— ეგ რა ჰქენი, ვაჟო?

— აბა, აუზში რა უნდა კალმახს? კალმახი ცხენისწყალში უნდა იყოს, მარე!...

... ეს პასაჟი ჩემი პატარა წიგნიდანაა, რომელსაც „ჩანახატები სიმღერისათვის — „სვანეთი" ჰქვია და ერთი დიდებული სვანის გულმოდგინებით, ალბათ, მალე იხილავს მკითხველი. 30 მაისს ამ ამონარიდს კიდევ ერთხელ გადავავლე თვალი. სწორედ ამ დღეს პოლიტექნიკური უნივერსიტეტის სარდაფის ერთ პატარა დარბაზში გაიმართა ენგურის, კოდორისა და ცხენისწყლის ხეობების სვანთა ლალხორ-თავყრილობა. ცოტა მემცხეთა კიდეც, — განა რა გაუჭირდათ სვანებს, რომ ამ მიწისქვეშა სასაუზმის პატარა დარბაზის გარდა სხვა, უფრო ფართო და მნიშვნელოვანი ფართი ვერ იშოვეს-მეთქი, მაგრამ... „მაგრამ" ის, რომ ყველას როდი „აწყობს" პატრიოტული სულით აღტკინებულ მამულიშვილთა ასეთი თავყრილობა და... შეპირებული დარბაზიც ბოლო წუთებში „დაიკეტა" მათთვის! არადა, რა ჰქონდათ მახვშებს სამსჯელო და სალაპარაკო? — ის, რომ სვანეთი იცლება მოსახლეობისაგან, ის, რომ სვანეთი მოუგვარებელი პრობლემებით, უგზოობითა და სიბნელით გათანგულა, ის, რომ სვანეთი სიდუხჭირემდე მიიყვანა ოცდამეერთე საუკუნემ! სვანები, რომელთაც საუკუნეებიდანვე მოსდგამთ ვაჟკაცობა და სიამაყე, მოყვრობა და მამულის ერთგულება, სვანეთი, რომელსაც ახლა ტყეებიც გაუყიდეს და ხელცარიელს ტოვებენ, „გაუსხვისეს" ამ ტყეებში და ხეობებში ჩაბუდებული ოქრო, ვერცხლი, ვოლფრამი, მარმარილო და ათასი სხვა ძვირფასი წიაღისეული!

მოწვეული ჰყავდათ პრეზიდენტი, პარლამენტის თავმჯდომარე, პარლამენტარები, მთავრობის წევრები, მაგრამ ზოგი ადგილზე არ იყო, ზოგს არ ეცალა, ზოგს გული სტკიოდა და ზოგს მუცელი...

... სამი საათი მსჯელობდნენ მახვშები თავიანთ პრობლემებზე. მსჯელობდნენ და მათს ყოველ სიტყვაში შეუპოვარი სიმტკიცით ილვრებოდა ფიცვერცხლი!

მსჯელობდნენ მახვშები და განა მარტო სვანეთზე ფიქრობდნენ, — მთელი მთიანეთის პრობლემებიც იყო მათი სატკივარი!

ბოლოს ადგნენ და საორგანიზაციო კომიტეტს დაავალეს მოემზადებინათ მიმართვის ტექსტები საქართველოს კათალიკოს-პატრიარქთან, საქართველოს პრეზიდენტთან, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან, საქართველოს მთავრობასთან.

— ჯერ წერილს შევუგზავნით, პასუხს დაველოდებით და გაზეთში მერე იყოს!... — მთხოვეს გულუბრყვილო მახვშებმა.

— კი, მაგრამ მანამდეც ხომ გქონდათ შეგზავნილი?

— კი, რამდენჯერმე გვქონდა. მისაღებში დიდი ყუთი იდგა და იმ ყუთში ჩავუშვით, მარა...

„მარა" ის არის, ჩემო კარგებო, რომ მე, ჟურნალისტი ვარ და, ნება მომეცით, არ დაგიჯეროთ! წინასწარ უნდა გავაფრთხილო „იქ, მაღლა": სვანები მოდიან-მეთქი, რადგან ვიცი, იქ ორი ყუთი დგას, ერთი „დიდი" და ერთი „პატარა", — დიდ ყუთში ჩაგდებული გზავნილები არასოდეს მიუვა ადრესატს, პატარა ყუთში ჩაგდებული კი — შეიძლება (თუ გაუმართლა!) „პატარა ჩინოვნიკებთან" მოხვდეს, ეგ არის და ეგ! პასუხს, სულ ერთია, ნუ დაელოდებით!

... ამიტომ გადაწყვიტეს მახვშებმა, გამოჰყონ უხუცესები და საკუთარი ხელით მიუტანონ ადრესატებს წერილები!

... მანამდე კი, თანდათან იცლება სვანეთი და, თუ დააგვიანდა, ნანარელი ბიჭი ცხენისწყალში ვერ დააბრუნებს კალმახს!!

**ზაურ ფიფია**

## კონკურსი

# რეგიონებში ასი მოსამართლე დაინიშნება

**საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ახლახან მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდები გამართა.**

მასში 506 კანდიდატი მონაწილეობდა. თუმცა, პირველ ტურში მათგან მხოლოდ 73-მა იმარჯვა და, მეორე წერით გამოცდაში მონაწილეობის უფლებაც მოიპოვა. საბოლოოდ კი კონკურსში მონაწილეობის უფლება საბოლოოდ 55-მა მოიპოვა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრმა გიორგი ხიზანიშვილმა აღნიშნა, რომ იმათ, ვინც მეორე ეტაპი წარმატებით გაიარა, მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდის სერტიფიკატი გადაეცემათ, რაც საბჭოს მიერ გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის უფლებას ანიჭებთ. კონკურსანტებს საბუთების შემოტანა პირველი ივნისიდან 14 ივლისამდე შეეძლებათ, გასაუბრება 18 ივლისიდან დაიწყება. მისი წარმატებით გავლა კი მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობაზე დანიშვნას ნიშნავს.

ამჟამად მოსამართლის 100 ვაკანსიაა. ყველა მოსამართლე რეგიონებში დაინიშნება, რადგან თბილისის საქალაქო სასამართლო მთლიანად დაკომპლექტებულია.

წელს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდები უკვე მეორედ გაიმართა, მესამედ კი სექტემბერში დაინიშნება.

**ლელა ახმეტელი**

## კონკურსი

# აღნიშნეს მოჰაჯირების ხსოვნის დღე

**სეპარატისტულმა აფხაზეთმა რუსეთ-კავკასიის ომის მსხვერპლთა და კავკასიის ხალხთა წარმომადგენლების იძულებითი დასახლების ხსოვნის დღე აღნიშნეს.**

აფხაზური მხარის ინფორმაციით, ამ დღის აღსანიშნავად, სოხუმში, მოჰაჯირების სანაპიროზე, ადგილი, სადაც მოჰაჯირობის მსხვერპლთა ხსოვნის მემორიალი უნდა გაიხსნას, ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებულმა მოჰაჯირების შთამომავლებმა და აფხაზეთის პოლიტიკურმა ე.წ. ხელმძღვანელობამ გვირგვინებით შეამკეს.

— XIX საუკუნის 60-იან წლებში ათასობით აფხაზი იძულებული იყო ისტორიული სამშობლო დაეტოვებინა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში გადასახლებულიყო. ამჟამად აფხაზი მოჰაჯირების შთამომავლები მსოფლიოს 45 ქვეყანაში ცხოვრობენ. ყველაზე დიდი აფხაზური დიასპორა თურქეთშია, — იუწყება აფხაზური მხარე.

**ХО-ЭОВ-ЭБО**

## მოვწევთ თუ არა?

# მსოფლიო — თამბაქოს გარეშე

### საქართველოში ყოველდღიურად ნიკოტინით მოწამლული 30 ადამიანი კვდება

**თბილისში** თამბაქოს კონტროლის ალიანსმა თამბაქოს მოწევის საწინააღმდეგო საერთაშორისო დღე აქციით — „მსოფლიო — თამბაქოს გარეშე" — აღნიშნა. მონაწილეები გამაფრთხილებელი ტრანსპარანტებით — „სიგარეტი საშიშია სიცოცხლისთვის" „კოლმეურნეობის მოედნიდან" რუსთაველის პროსპექტისკენ გაემართნენ. ისინი შეეცადნენ მოქალაქეებისთვის განემარტათ თუ რა დაავადებებს იწვევს თამბაქო. მათივე ინფორმაციით, საქართველოში ყოველდღიურად ნიკოტინით მოწამლული 30 ადამიანი კვდება.



თამბაქოს კონტროლის ალიანსის თანამშრომელმა გიორგი ბახტურიძემ აღნიშნა, წლევანდელი დევიზია „შენობა-ნაგებობები და საზოგადოებრივი ტრანსპორტი თამბაქოს გარეშე". ადრეც ვანხორციელებდით მონიტორინგს, მაგრამ დღეს განსაკუთრებით გვინდა გავაფრთხილოთ კანონდამრღვევები ყველა ტიპის დაწესებულებაში და თავშეყრის ადგილებში, განსაკუთრებით, სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში, კინოთეატრებში, სამედიცინო დაწესებულებებში".

კანონი „თამბაქოს კონტროლის შესახებ" პარლამენტმა 2003 წლის 6 ივნისს მიიღო, ხოლო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში საჯარიმო სანქციები ამ კანონის შესაბამისი მუხლების დარღვევისთვის 2004 წლის 1 თებერვლიდან ამოქმედდა.

აღნიშნული კანონის თანახმად, საზოგადოებრივ ტრანსპორტში თამბაქოს მოწევისთვის მოქალაქე 5 ლარით ჯარიმდება, განმეორების შემთხვევაში — 50 ლარით. ამდენითვე ისჯება პიროვნება სახელმწიფო დაწესებულება-ორგანიზაციებსა და მასობრივი თავშეყრის ადგილებში, დახურულ შენობა-ნაგებობებში მოწევისთვის, ხოლო სკოლამდელი აღზრდის, ყველა სახის სამედიცინო და სასწავლო დაწესებულებაში, აგრეთვე, 18 წლამდე ასაკის პირებისათვის განკუთვნილ საწარმო-ორგანიზაციებში თამბაქოს მომხმარებელი 10 ლარით დაჯარიმდება, განმეორების შემთხვევაში — 50-ით.

მომხმარებლების გარდა, კანონით ისჯებიან რეალიზატორებიც, რომლებიც სიგარეტს აკრძალულ ადგილებში, ღერებით ან არასრულწლოვანებს მიჰყიდიან. ჯარიმა — 100-150 ლარი.

საზოგადოებრივ ტრანსპორტში თამბაქოს მოწევის გამოვლენა და სამართალდარღვევათა ოქმის შედგენა საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს ევალებათ. სხვა შემთხვევებში თამბაქოს მოხმარების წესების დარღვევის ფაქტების გამოვლენა და საჯარიმო სანქციის დადების ვალდებულება უბნის ინსპექტორს ენიჭება. თამბაქოს ნაწარმით ვაჭრობის წესების დარღვევათა გამოვლენა და მათზე რეაგირება, მათთან ერთად, ფინანსურ პოლიციას ევალება.

თამბაქოს საწინააღმდეგო მსოფლიო დღეს ახალგაზრდა მედიკოსთა ასოციაცია და „სოფარმას" წარმომადგენლობაც გამოეხმაურა. მათ აქციები სამედიცინო, ტექნიკურ უნივერსიტეტებთან და თეატრალურ ინსტიტუტთან გამართეს.

**ლელა მანაგლიშვილი**

კვირამალი

● ჰერეთი საქართველოს ერთ-ერთ საერისთავოს წარმოადგენს და საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს შემადგენლობაში XVII საუკუნემდე შედის. XVII საუკუნის დასაწყისში საინგილოს დიდმა ნაწილმა იძულებით მიიღო ისლამი. აქედან მოდის სახელწოდება „ენგილავ“, რაც ახლადმოქცეულს ნიშნავს



ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №104

— ამ ბედის ნაწილი ხომ თქვენც ხართ, იქაური ინგილო გოგონა, რომელიც შემდგომ მისი უერთგულესი მეგობარი და მეუღლე ხდება...

—ჩვენ თეატრში გავიცანით ერთმანეთი... ერთ-ერთ სპექტაკლს ქართულიდან ინგილოურ დიალექტზე მე „ვუთარგმნიდი“...

* * *

**იმ სივრცეში დადგმული ყველა სპექტაკლი დიდი გამარჯვება იყო. ყველაზე წარმატებულის „ალაზანს აქეთ“-ის პრემიერაზე საოცარი რამ მოხდა. უკანასკნელი სცენის დასრულების შემდეგ, როცა შუქი ჩაქრა, სიუჟეტი დაიძაბა: მაყურებლები უძრავად ისხდნენ და ელოდნენ, რომ მაშინვე დააპატიმრებდნენ, აიყვანდნენ ყველას. სიმართლე საინგილოს შესახებ, ხმამაღლა ნათქვამი კომუნისტურ ეპოქაში პირველად გაიგეს.**

სპექტაკლი „მამა არსენი“ რელიგიურ თემაზე შეიქმნა და ლი ცხოვრების წესი დაგვხვდა. ეს იყო ხალხი, რომელსაც ურთიერთობა ჰქონდა მიწასთან, საქონელთან და არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდათ თეატრზე. მოწყვეტილი იყვნენ ქართულ რეალობას. მაგალითად: დავნიშნავდით რეპეტიციას 8 საათზე, სანამ თავის საქმეს, თოხს, ბარს არ მოიშორებდნენ, საქონელს არ დააბინავებდნენ, არ მოდიოდნენ. ვისხედით და ველოდით. თუმცა ისინი ძალიან ნიჭიერი ხალხი იყო და მალე გაგვიგეს... ორ თვეში ორი სპექტაკლი მზად გვქონდა. პრემიერაზე ჩამოვიდა ანზორ დოლენჯაშვილი, რომელიც შემდეგ სამუდამოდ იქ დარჩა.

**— მხოლოდ საკუთარი ნაშრომით რატომ შემოიფარგლეთ, თქვენი თავი ვერ დაინახეთ იქ, თუ არ გსურდათ შიშველი ხელებით შრომა?**

— ჩვენი წამოსვლის შემდეგ, საინგილოში ჩქეფდა სისხლსავსე ცხოვრება, ასე რომ, შიშველი ნიადაგი აღარ იყო. იცით რაშია საქმე? ანზორის შემდეგ აღარ გახლდათ ჩვენი იქ დარჩენის საჭიროება. მან იმდენად კარგად გაართვა თავი. მერე მე ინსტიტუტში დავიწყე მუშაობა, მზია მჭედლიშვილი გათხოვდა და ასე... კი შეიძლებოდა რაღაც-რაღაცეებში მივხმარებოდით ანზორს, მაგრამ ამის აუცილებლობას ვერ ვხედავდით...

# ალაზანს იქით და აქეთ

**შუქი ჩაქრა, დარბაზს სიჩუმის ტალღამ გადაუარა... ტალღა გაოცების, შიშის... სიბნელე და სიჩუმე ერთმანეთს შეერწყა, როგორც ერთი მთლიანობა... და უცებ დარბაზში აპლოდისმენტები გაისმა... ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ტაბუდადებულ სიმართლეს ასე გაბედულად და ასე ხმამაღლა სცენიდან იტყოდნენ...**

ამ ეპოპეის მთავარი გმირი, საინგილოში ილია ჭავჭავაძის სახელობის ქართული თეატრის დამაარსებელი, ბატონი ანზორ დოლენჯაშვილი, დღეს გაუსაძლისი ფიქრებით შეპყრობილი გახლავთ და ალბათ იქაურ სცენაზე აღარასოდეს დადგება, მაყურებელს თავი რომ მდაბლად დაუხაროს... ის ამჟამად ალაზანს გამოღმაა დარჩენილი და მხოლოდ ვიდეოფირზე უყურებს თავის ყველაზე დიდ გამარჯვებას — სპექტაკლს „ალაზანს აქეთ“.

ბატონ ანზორს გადატანილი კრიზისის და მძიმე ავადმყოფობის გამო, ჯერჯერობით საუბარი უჭირს, შეკითხვებზე მისი სათნო და მშვენიერი მეუღლე მანანა გოჯიაშვილი გვიპასუხებს: — **ყველაზე დიდი გამარჯვება „ალაზანს აქეთ“** იყო. ეს ისტორიული სპექტაკლია, რომელშიც იმდენად რეალურადაა საინგილოს შესახებ სიმართლე ნათქვამი, რომ დამსწრე საზოგადოების გაოგნება გამოიწვია.

* * *

**პრემიერის შემდეგ ბატონი** ანზორი სამუდამოდ დაუკავშირდა საინგილოს... ჩაჰქონდა ქართული წიგნები, ფილმები, ბავშვებს აცნობდა სამშობლოს ისტორიას. დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, დააარსა „ილიაობა“ და სახალხო ზეიმად აქცია. აამოქმედა კახის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია. თბილისიდან ჩაჰყავდა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლე-



სცენა სპექტაკლიდან „ალაზნის აქეთ“

**ბი და იქაურ მოსახლეობას ქართულ ხელოვნებას აზიარებდა. მისი თაოსნობით ილია ჭავჭავაძის ძეგლი დაიდგა სოფელ ალიბეგლოში, თეატრის შენობასთან... აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არსებული კახის რაიონი, ეს მივიწყებული მხარე ყველასთვის მოულოდნელად ქართული კულტურის კერად გადაიქცა.**

## ისტორიიდან

საინგილო უძველეს დროში დასახლებული იყო ქართველთა მონათესავე ტომებით — ჰერებით და ალვანეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა IV-V საუკუნეებში.

ჰერეთი საქართველოს ერთ-ერთ საერისთავოს წარმოადგენს და საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს შემადგენლობაში XVII საუკუნემდე შედის.

XVII საუკუნის დასაწყისში საინგილოს დიდმა ნაწილმა იძულებით მიიღო ისლამი. აქედან მოდის სახელწოდება „ენგილავ“, რაც ახლადმოქცეულს ნიშნავს.

1803 წლიდან საინგილოში რუსეთის მმართველობა მყარდება. 1864 წელს კი ის, რუსეთისგან ფაქტობრივად მიტოვებული, ისევ მაჰმადიანების ხელში რჩება...

და საინგილო დედა საქართველოს ხელიდან გამოეცალა.

* * *

**— ბატონი ანზორი წერდა, რომ საინგილოში გამგზავრებისას იცოდა, სად მიდიოდა და საკუთარი მისიაც გაცნობიერებული ჰქონდა. ქალბატონო მანანა, როგორ ფიქრობთ, რა იყო ის „მთავარი“, რასაც შემდგომ მან „მისია“ დაარქვა?**

— 80-იან წლებში როცა აკაკი ბაქრაძის საგანმანათლებლო ლექციებს უსმენდა, როგორც სხვა ბევრსაც, მასაც დაუძლეველი სურვილი უჩნდებოდა, რაიმე გაეკეთებინა საკუთარი სამშობლოსთვის. ანზორის კურსელებმა მზია მჭედლიშვილმა და მანანა კვირკველიამ საინგილოში საკურსო სპექტაკლები დადგეს. ბევრი სტუმარი ჩავიდა პრემიერაზე, მაგრამ მხოლოდ ანზორ დოლენჯაშვილმა გადაწყვიტა საინგილოსთვის დაეკავშირებინა თავისი ცხოვრება და ბედი.

სოფელში იალოველების შემოსევას დაუკავშირდა. დაწყების წინ, სცენაზე გასული ანზორ დოლენჯაშვილი მოსახლეობას მოუწოდებდა არ ეთქვათ უარი მართლმადიდებლობაზე.

მერე იყო: „უცხო ჩიტი“, „შუაზე გაყოფილი ცრემლი“, „ბერბიჭები“... იდგმებოდა კახის მაჰმადიანურ სოფლებში, კახეთის ახლომდებარე რაიონებში, თბილისში, ბათუმში... დარბაზებში ტევა არ იყო. მეუღლის მანანა გოჯიაშვილის მოგონების მიხედვით, თუ ფანჯრის რაფაზე ხალხი არ იჯდა, თვლიდნენ, რომ სპექტაკლი ჩავარდა...

* * *

**დასი დღეს თითქმის აღარ არსებობს, რაც მთავარია, თეატრი აღარ დგას იმ პიედესტალზე, საიდანაც საინგილო საქართველოს თავის ტკივილებს უმხელდა.** დაკარგულია მისი აკადემიური სახეც. და იმ საინგილოს ქართული თეატრის სცენაზე უმეტესად პოპმუსიკის კონცერტები იმართება.

* * *

**რეჟისორი მანანა კვირკველია:** — საინგილოში ჩასულებს აბსოლუტურად განსხვავებუ-

...გაზეთი „ქართული კულტურა“ 2 აგვისტო, 1992 წელი. ანზორ დოლენჯაშვილის ინტერვიუ: — **„გვინდა შევქმნათ სახალხო კინოსტუდია, საამისოდ კი არაფერი გაგვაჩნია. საქართველოს ტელევიზიამ კი გადმოგვცა ნახევრადპროფესიული აპარატი, დიდი მადლობა ამისთვის, მაგრამ ამ აპარატით ჩემი ჩანაფიქრის განხორციელება შეუძლებელია, არ გვაქვს არც ერთი სპექტაკლი ფირზე აღბეჭდილი, რაც დანაშაულია შთამომავლობის წინაშე. თეატრი მწვავედ განიცდის მსახიობი ქალების ნაკლებობას, თეატრის ლიმიტით წარგზავნილი, ინსტიტუტის კურსდამთავრებულნიც კი არ ბრუნდებიან უკან. მოკლებულნი ვართ საჭირო კოსტიუმებს, რეკვიზიტს, გრიმს... სანამ ჯერ კიდევ არის შესაძლებლობა, რომ მეტნაკლებად გამოვასწოროთ მდგომარეობა, გთხოვთ ყველას, ვისაც შესწევს ძალა, დაგვეხმაროს ამ პრობლემის მოგვარებაში, გთხოვთ მთელი საინგილოელი ქართველების სახელით, ჩამობრძანდით სტუმრად, გვეწვიეთ „ილიაობაზე“, „გიორგობაზე“, ისე ჩამოვიდნენ როგორც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ესეც დიდი სამსახურია ჩვენთვის. გთხოვთ...“**

* * *

**ქალბატონ მანანა კვირკველიას კოლეგის დახასიათება ვთხოვეთ.**

— ანზორზე გიამბოთ? მისი განვლილი ცხოვრება მეტყველებს მასზე... მე აღფრთოვანებული ვარ ანზორის საქციე-

№ 103. შაბათი, 2 ივნისი, 2007 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ეს ძველი ფოტოები, დაახლოებით 150 წლის წინათ გადაღებული, სინამდვილეში მხოლოდ დროის ინტერვალს ავლენს და ფოტოგრაფთა სტილს და გემოვნებას, თორემ ყველა ეპოქაში, მაშინაც და დღესაც, ბავშვები ერთნაირად და უპირობოდ მშვენიერნი არიან...



ანზორ დოლენჯაშვილი

ლით, რომელსაც შეეძლო ნებისმიერ თეატრში, კარგ პირობებში ემუშავა, მაგრამ არა! მართლა დიდი საქმე გააკეთა და ბოლომდე უერთგულა. მუშაობდა ყველაფრის გარეშე, ენთუზიაზმით, სულისკვეთებით... შედეგად კი უმადურობა მიიღო. ძალიან დასანანია, რომ უსამართლო დამოკიდებულების გამო, ასეთ მძიმე ფიზიკურ და სულიერ მდგომარეობაშია. ცოლად ინგილო გოგონა მოიყვანა, არაჩვეულებრივი მეუღლე და შვილები ჰყავს.

* * *

როგორც ჩანს, საქართველოში „რატომ კარგი აგიგია" მარადიულია და არც ბატონი ანზორი დოლენჯაშვილია პირველი და უკანასკნელი. ნამდვილ დამნაშავეთა ნაგვიანევი მონანიებები აღარაფერს შველის არსებულ სინამდვილეს. საქართველოს კულტურის სამინისტრო ყველაფერს ემსახურებოდა, გარდა კულტურისა, უპირველესად კი — უკულტურო ჩინოვნიკების ჯიბის გასქელებას. ორი კვირა სახელოვან რეჟისორს ანზორ დოლენჯაშვილს ციხის საკანში მოუხდა ყოფნა და როგორც თავად აღნიშნავდა, რეციდივისტად წოდებულები კაცურად მოექცნენ. იმ დროს მართლაც ძნელი იყო ზღვარის გავლება, ვინ იყო ნამდვილი ყაჩაღი. ციხეში გამომწყვდეული ის რეციდივისტი თუ ბობოლა ფუნქციონერი! სასამართლო პროცესებზე მთელი ქართული ინტელიგენცია, ქართული სცენის დიდი კორიფეები მხარში ედგნენ უსამართლოდ განწირულ პიროვნებას.

**ანზორ დოლენჯაშვილი:** — გასაწირი თუ ვინმე იყო, ეს მე ვიყავი... ეს მოხდა, ასეთი შეცდომა აღარ უნდა განმეორდეს...

* * *

**სხვადასხვა დროს სტუმრად ჩასული ქართველი მოღვაწეები აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ. რეჟისორი რეზო ჩხეიძე:** — ჩვენ ჩამოვიტანეთ ქართული გული. არ არსებობს დღე და წამი, რომ დედა საქართველო თქვენზე არ ფიქრობდეს. თქვენი გაჭირვება ჩვენი საერთო პრობლემაა და დიდად ვაფასებ, რომ თქვენ მიჰყევით დიდი „ილია ჭავჭავაძის ბუნებას და ამ ურთულეს პირობებში შეინარჩუნეთ ენა, მამული და სარწმუნოება".

**ექიმი, პროფესორი ირაკლი ჭუმბურიძე:** — „ღმერთმა მუდამ კარგად გამყოფოთ, მე ამიერიდან თქვენთან ყოველთვის ჩამოვალ ჩემს თანამშრომლებთან ერთად და უანგაროდ მიიღებთ ჩვენს სამედიცინო სამსახურს".

**მწერალი გურამ ფანჯიკიძე:** გაოცებული ვარ თეატრის პროფესიული დონით, ძალიან ნიჭიერი რეჟისორის ხელი ეტყობა, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი ღვაწლი. აღფრთოვანებული ვარ. წარმატებას ვუსურვებ!

**თეატრმცოდნე გოგა ჩართოლანი:** — „ის არ არის მარტო ეროვნული მოღვაწე, არამედ, პროფესიული რეჟისორი, რომელიც ქმნის საინტერესო სპექტაკლს. ეს იყო და არის „შეჯანჯღარება" არა მარტო პოლიტიკოსების, არამედ მოსახლეობისაც, რომელმაც გაიგო, ვინ იყო, რა იყო და საიდან მოდის.

## პროლოგი

**ბატონო ანზორ,** ჩემი თაობის სახელით მადლობას გიხდით ფასდაუდებელი ღვაწლისთვის. ჩემთვის, დამწყები ჟურნალისტისთვის, სამაგალითოა თქვენი ცხოვრების გზაც, საქმით პატრიოტობაც, პროფესიონალიზმიც... ახლა ვამზადებ თქვენს შესახებ სადიპლომო ნამუშევარს, რადიოსცენარს, სიუჟეტს ფილმისთვის.

უპირველესად უნდა გითხრათ მადლობა მაგალითის დიადი ძალისთვის, რითაც ჩემს სულში დაფარული პლასტები გახსენით...

...არავინ იცის, რა მოხდება ცხოვრებაში, მაგრამ არის დიდი ალბათობა იმისა, რომ ჩემი ცხოვრებაც, თქვენი გავლენით, საინგილოს დავუკავშირო, თქვენც ხომ საინგილოსთან ურთიერთობა სადიპლომო ნამუშევრით დაიწყეთ...

**დიანა ქველაძე,**
**მასმედიისა და საზოგადოებრივი კომუნიკაციების ინსტიტუტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი.**

# ყველა ეპოქაში მშვენიერი

*ანდრე მორუას აზრით, პიროვნება 8 წლის ასაკამდე ყალიბდება და ადამიანის მომავალი ბედი ბავშვობის სხვადასხვა ფაზას ტრანსფორმირებულად იმეორებს.*

*მართალია, ივნისის პირველი რიცხვი ბავშვთა საერთაშორისო დღედ ითვლება, მაგრამ ჩვენი ცხოვრების ყოველი დღე, ვფიქრობთ, მათი არსებობით ხდება ლამაზიც და მნიშვნელოვანიც.*

*ეს ძველი ფოტოები, დაახლოებით 150 წლის წინათ გადაღებული, სინამდვილეში მხოლოდ დროის ინტერვალს ავლენს და ფოტოგრაფთა სტილს და გემოვნებას, თორემ ყველა ეპოქაში, მაშინაც და დღესაც, ბავშვები ერთნაირად და უპირობოდ მშვენიერნი არიან...*



რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში" 98-96-32; 899 328576

№ 103. შაბათი, 2 ივნისი, 2007 წელი.

# ქ.თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველო აცხადებს აუქციონს ჩამოწერის შედეგად მიღებული ჯართის რეალიზაციის შესახებ

1. ქ.თბილისის №61 საჯარო სკოლის შენობის რემონტის შედეგად მიღებული შავი ლითონის სავარაუდო წონაა 7 ტონა. ერთი ტონა შავი ლითონის ღირებულება შეადგენს 125 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში. „ბიჯი"-ს სიდიდე 1 ტონა შავ ლითონზე შეადგენს 10 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში, „ბე" 300 აშშ დოლარის ოდენობით ეროვნული კურსით ლარებში. მონაწილის ბილეთის სიდიდე განისაზღვრება 10 ლარის ოდენობით.

2. ქ.თბილისის №40 საჯარო სკოლის შენობის რემონტის შედეგად მიღებული შავი ლითონის სავარაუდო წონაა 6 ტონა. ერთი ტონა შავი ლითონის ღირებულება შეადგენს 125 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში. „ბიჯი"-ს სიდიდე 1 ტონა შავ ლითონზე შეადგენს 10 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში, „ბე" 250 აშშ დოლარის ოდენობით ეროვნული კურსით ლარებში. მონაწილის ბილეთის სიდიდე განისაზღვრება 10 ლარის ოდენობით.

3. ქ.თბილისის ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების ჩამოწერის შედეგად მიღებული ჯართის სავარაუდო წონაა 5,639 ტონა (მ.შ. შავი ლითონი 5,56 ტ. ალუმინი 0,04 ტ. სპილენძი 0,039ტ). ერთი ტონა შავი ლითონის ღირებულება შეადგენს 125 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში, 10 კგ. ალუმინის ღირებულება შეადგენს 12 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში, 10 კგ. სპილენძის ღირებულება შეადგენს 58 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში,. „ბიჯი"-ს სიდიდე შეადგენს 12 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში (მ.შ. ყოველ 1 ტ. შავ ლითონზე 10 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში, ყოველ 10 კგ. ალუმინზე 1 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში , ყოველ 10 კგ.სპილენძზე 1 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში). „ბე" 200 აშშ დოლარს ოდენობით ეროვნული კურსით ლარებში. მონაწილის ბილეთის სიდიდე განისაზღვრება 10 ლარის ოდენობით.

4. ქ.თბილისის შს მთავარ სამმართველოში მიმდინარე რემონტის შედეგად მიღებული ჯართის სავარაუდო წონაა 6 ტონა (მ.შ. შავი ლითონი 5 ტ. ალუმინი 1 ტ.). 1 ტონა შავი ლითონის ღირებულება შეადგენს 120 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში, 1 ტონა ალუმინის ღირებულება შეადგენს 1530 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში. „ბიჯი"-ს სიდიდე შეადგენს 20 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში (მ.შ. ყოველ 1 ტ. შავ ლითონზე 10 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში, ყოველ 1 ტ. ალუმინზე 10 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში), „ბე" 200 აშშ დოლარის ოდენობით ეროვნული კურსით ლარებში. მონაწილის ბილეთის სიდიდე განისაზღვრება 10 ლარის ოდენობით.

5. ქ.თბილისის №8 საჯარო სკოლის შენობის რემონტის შედეგად მიღებული შავი ლითონის სავარაუდო წონაა 9 ტონა. ერთი ტონა შავი ლითონის ღირებულება შეადგენს 125 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში. „ბიჯი"-ს სიდიდე 1 ტონა შავ ლითონზე შეადგენს 10 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში, „ბე" 400 აშშ დოლარის ოდენობით ეროვნული კურსით ლარებში. მონაწილის ბილეთის სიდიდე განისაზღვრება 10 ლარის ოდენობით.

6. ქ.თბილისის №111 საჯარო სკოლის შენობის რემონტის შედეგად მიღებული შავი ლითონის სავარაუდო წონაა 0,5 ტონა. ერთი ტონა შავი ლითონის ღირებულება შეადგენს 125 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში. „ბიჯი"-ს სიდიდე 1 ტონა შავ ლითონზე შეადგენს 10 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში, „ბე" 20 აშშ დოლარის ოდენობით ეროვნული კურსით ლარებში. მონაწილის ბილეთის სიდიდე განისაზღვრება 10 ლარის ოდენობით.

7. სსიპ ეკონომიკის კვლევითი ინსტიტუტის ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების ჩამოწერის შედეგად მიღებული შავი ლითონის სავარაუდო წონაა 2,270 ტ. ხოლო თუნუქის 0,45 ტ. 1 ტონა შავი ლითონის ღირებულება შეადგენს 125 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში, 1 ტონა თუნუქის ღირებულება შეადგენს 75 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში. „ბიჯი"-ს სიდიდე შეადგენს 15 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში (მ.შ. ყოველ 1 ტ. შავ ლითონზე 10 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში, ყოველ 1 ტ. თუნუქზე 5 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში), „ბე" 50 აშშ დოლარის ოდენობით ეროვნული კურსით ლარებში. მონაწილის ბილეთის სიდიდე განისაზღვრება 10 ლარის ოდენობით.

ჯართის საბოლოო დაზუსტებული წონა განისაზღვრება აუქციონში გამარჯვებულის და ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ერთად.

აუქციონში გამარჯვებულმა უზრუნველყოს თავისი ხარჯებით ჯართის დამუშავება და გატანა.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 09.11.06წ. №16/59/100-6 წერილის თანახმად, აუქციონში მონაწილეთა განაცხადების მიღება მიმდინარეობს 2007 წლის 22 მაისიდან 21 ივნისის ჩათვლით 11 საათიდან 16 საათამდე. იმ შემთხვევაში, როდესაც 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განაცხადების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველი სამუშაო დღეს, იმავე საათზე. აუქციონი ჩატარდება 2007 წლის 21 ივნისს 16:30 საათზე.

თანხა ჩაირიცხება მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (ცენტრალური), ანგარიში: 200122900, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: 220101222, სახაზინო კოდი: 302003000.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ ქ.თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს იურიდიულ განყოფილებას, მისამართი გ. ტაბიძის ქ.№4, მე-4 სართული, ტ.93-37-64.

შენიშვნა: ინფორმაცია გამოქვეყნებულია გაზეთ „მესაკუთრის" 2007 წლის 16 მაისის №17 (516)-ში.

# ქ.თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველო აცხადებს აუქციონის ფორმით სახელმწიფო ავტოტრანსპორტის და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების პრივატიზებას:

| № | ბალანს მფლობელი ორგანიზაცია | ავტომობილის მარკა სახ. № | გამოშვების წელი | საწყისი გასაყიდი ფასი აშშ დოლარი | ბიჯი აშშ დოლარი | „ბე" აშშ დოლარი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო | გაზ-3102 სახ.№AMA-190 | 1994 | 1250 | 100 | 380 |
| 2 | საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო | გაზ-3102 სახ.№ABA-610 | 1992 | 375 | 50 | 120 |
| 3 | საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო | გაზ-2410 სახ.№ACV-930 | 1991 | 1125 | 100 | 340 |
| 4 | საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო | გაზ-3102 სახ.№WNW-646 | 1995 | 900 | 50 | 270 |
| 5 | საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო | გაზ-2410 სახ.№ACI-413 | 1987 | 750 | 50 | 230 |
| 6 | საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო | გაზ-2410 სახ.№ABE-372 | 1988 | 1125 | 100 | 340 |
| 7 | საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო | ვაზ-2106 სახ.№NON-138 | 1995 | 750 | 50 | 230 |
| 8 | საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო | ტოფას შაპინ სახ.№TWC-804 | 1996 | 450 | 50 | 140 |
| 9 | საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო | ტოფას შაპინ სახ.№TWC-803 | 1996 | 450 | 50 | 140 |
| 10 | საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო | ტოფას შაპინ სახ.№TWC-802 | 1996 | 450 | 50 | 140 |
| 11 | საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო | დოჯ კარავან სახ.№NON-613 | 1989 | 875 | 50 | 270 |
| 12 | საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო | BMW-730 I სახ. № NON-736 | 1992 | 3500 | 200 | 1100 |
| 13 | საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო | რენო 19 სახ. № MMW-236 | 1996 | 750 | 50 | 230 |
| 14 | საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო | ფოლქსვაგენ გოლფი სახ. № NON-738 | 1990 | 925 | 50 | 280 |
| 15 | საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო | მერსედეს ბენცი 230 სახ.№AOA-536 | 1986 | 1150 | 100 | 350 |
| 16 | საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია | გაზ-2410 სახ.№OQQ-044 | 1995 | 12800 | 600 | 3840 |
| 17 | სსიპ „ოთარ ლორთქიფანიძის ინსტიტუტი" | უაზ-469ბ სახ.№ABC-123 | 1975 | 500 | 50 | 150 |
| 18 | სსიპ „ოთარ ლორთქიფანიძის ინსტიტუტი" | იჟ-27156 სახ.№MTM-610 | 1972 | 250 | 50 | 80 |
| 19 | საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია | გაზ-21213 სახ.№HHH-893 | 1998 | 3000 | 200 | 900 |
| 20 | შინაგან საქმეთა სამინისტრო | ვაზ-2121 სახ.№MSS-403 | 1997 | 2600 | 100 | 800 |
| 21 | შინაგან საქმეთა სამინისტრო | ვაზ-2106 სახ.№GOG-587 | 1990 | 1200 | 100 | 360 |
| 22 | საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო | მერსედეს-ბენცი 200 სახ.№TAT-797 | 1987 | 4200 | 200 | 1260 |
| 23 | საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო | გაზ-3110 სახ.№MMW-048 | 1996 | 3200 | 200 | 960 |
| 24 | საქართველოს პარლამენტის აპარატი | უაზ-330301 სახ.№ADI-097 | 1984 | 2000 | 100 | 600 |
| 25 | საქართველოს პარლამენტის აპარატი | ვაზ-52 სახ.№AAZ-979 | 1989 | 3000 | 200 | 900 |
| 26 | საქართველოს პარლამენტის აპარატი | ზილ-130 სახ.№AEK-096 | 1991 | 2800 | 100 | 840 |
| 27 | საქართველოს პარლამენტის აპარატი | ზილ-131 სახ.№ACI-992 | 1978 | 2000 | 100 | 600 |
| 28 | საქართველოს პარლამენტის აპარატი | უაზ-452 სახ.№ADO-995 | 1987 | 2000 | 100 | 600 |
| 29 | კიბერნეტიკის ინსტიტუტი | ზილ-130 სახ.№31-55 გან | 1978 | 1000 | 100 | 300 |
| 30 | კიბერნეტიკის ინსტიტუტი | უაზ-452 სახ.№22-04 გაჩ | 1974 | 500 | 50 | 160 |
| 31 | კიბერნეტიკის ინსტიტუტი | გაზ-66ა სახ.№22-03 გაჩ | 1974 | 1000 | 100 | 300 |
| 32 | კიბერნეტიკის ინსტიტუტი | გაზ-24 სახ.№ABV-159 | 1982 | 400 | 50 | 120 |
| 33 | კიბერნეტიკის ინსტიტუტი | უაზ-469 სახ.№22-05 გაჩ | 1974 | 500 | 50 | 150 |
| 34 | კიბერნეტიკის ინსტიტუტი | ზილ-43410 სახ.№ACY-701 | 1987 | 1500 | 100 | 450 |
| 35 | კიბერნეტიკის ინსტიტუტი | ავტომზიდი №5TH4045M | - | 400 | 50 | 120 |
| 36 | სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი | ვაზ-2121 სახ.№UUU-255 | 1990 | 2000 | 100 | 600 |
| 37 | სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი | მერსედეს-ბენცი 320 სახ.№MVM-989 | 1995 | 7400 | 300 | 2220 |
| 38 | სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი | გაზ-3110 სახ.№QQQ-909 | 1995 | 5400 | 300 | 1620 |
| 39 | სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი | გაზ-5228 სახ.№0485 გრდ | 1990 | 2000 | 100 | 600 |
| 40 | სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი | იჟ-2715014 სახ.№AEQ-719 | 1989 | 1100 | 100 | 330 |
| 41 | სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი | იჟ-27151-01 სახ.№AEC-587 | 1990 | 600 | 50 | 180 |
| 42 | საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია | ასლგადამღები აპარატი5665 Protosopier HP | 1998 | 5200 | 300 | 1560 |
| 43 | საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია | ასლგადამღები აპარატი Zoomplaten RX 5025 | 1998 | 1000 | 100 | 300 |

შენიშვნა: მონაწილის ბილეთის ღირებულება თითოეული ლოტისთვის განისაზღვრა 10 ლარის ოდენობით.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 09.11.06წ.№16/59/100-6 წერილის თანახმად აუქციონში მონაწილეთა განაცხადების მიღება მიმდინარეობს 2007 წლის 28 მაისიდან 27 ივნისის ჩათვლით 11 საათიდან 16 საათამდე. იმ შემთხვევაში, როდესაც 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განაცხადების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველი სამუშაო დღეს, იმავე საათზე. აუქციონი ჩატარდება 2007 წლის 27 ივნისს 16:30 საათზე.

თანხა ჩაირიცხება მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგა, დასახადო (ცენტრალური), ანგარიში: 200122900, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: 220101222, სახაზინო კოდი: 302003000.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ ქ.თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს იურიდიულ განყოფილებას, მისამართი, გ. ტაბიძის ქ.№4, მე-4 სართული, ტ. 93-37-64.

შენიშვნა: ინფორმაცია გამოქვეყნებულია გაზეთ „მესაკუთრის" 2007 წლის 23 მაისის №18 (517)-ში.

რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში" 98-96-32; 899 328576

## ქ.თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველო აცხადებს აუქციონს შემდეგ ობიექტებზე

| | ობიექტის დასახელება მისამართი | შენობა-ნაგებობის დახასიათება | ფართი კვ.მ | მიწა წილობრივად კვ.მ (საერთო სარგებლობაში) | საწყისი ფასი აშშ დოლარი ეროვნული კურსით ლარებში | ბიჯი აშშ დოლარი ეროვნული კურსით ლარებში | „ბე" აშშ დოლარი ეროვნული კურსით ლარებში | საიჯარო ქირა | მონაწილის ბილეთის სიდიდე ლარი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1(1) | ისანი-სამგორის რაიონი, დოდაშვილის ქ. № 1 | 1 სართულიანი საცხოვრებელი სახლის I სართული და სარდაფი | 110,5<br>47,4 | | 30000 | 500 | 6000 | | 50 |
| 2(2) | გლდანი-ნაძალადევის რაიონი, გლდანის დასახ. I მკრ. კორპ. № 22 | 9 სართულიანი საცხოვრებელი კორპუსის სარდაფი | 164,90 | | 30000 | 500 | 6000 | | 50 |
| 3(3) | გლდანი-ნაძალადევის რაიონი, ქსნის ქ.უჩა, კორპ. № 22 | 9 სართულიანი საცხოვრებელი კორპუსის I სართული | 291,87 | | 65000 | 2000 | 10000 | | 50 |

შენიშვნა: მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად პრივატიზების პროცესი გაგრძელებულია 02.05.07წ-დან 02.05.08წ.-მდე.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს იურიდიულ განყოფილებას, მისამართი გ.ტაბიძის ქ.№4, მე-4 სართული, ტ. 93-37-64

შენიშვნა: ინფორმაცია გამოქვეყნებულია გაზეთ „მესაკუთრის" 2007 წლის 23 მაისის №18 (517)-ში.

## ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველო აცხადებს აუქციონის ფორმით სახელმწიფო ავტოტრანსპორტის პრივატიზებას:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1(8) | საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია | გაზ-31029 სახ.№AEB-964 | 1996 | 950 | 50 | 300 |
| 2(42) | საქ. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო | ნისან-პესფაინდერი სახ.№ACS-154 | 1995 | 1950 | 100 | 600 |
| 3(53) | საქართველოს კონტროლის პალატა | გაზ-31029 სახ.№SOF-201 | 1995 | 825 | 50 | 250 |

აუქციონში მონაწილეთა განაცხადების მიღება მიმდინარეობს 2007 წლის 6 ივნისის ჩათვლით 11 საათიდან 16 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). აუქციონი ჩატარდება 2007 წლის 6 მაისს 16:30 საათზე.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1(49) | საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო | ოპელ-ომეგა სახ.№ VIV-213 | 1991 | 1000 | 100 | 300 |

აუქციონში მონაწილეთა განაცხადების მიღება მიმდინარეობს 2007 წლის 15 ივნისის ჩათვლით 11 საათიდან 16 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). აუქციონი ჩატარდება 2007 წლის 15 ივნისს 16:30 საათზე.

თანხა ჩაირიცხება მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (ცენტრალური), ანგარიში: 200122900, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: 220101222, სახაზინო კოდი: 302003000.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს იურიდიულ განყოფილებას, მისამართი, გ. ტაბიძის ქ. №4, მე-4 სართული, ტ. 93-37-64.

**შენიშვნა:** ინფორმაცია გამოქვეყნებულია გაზეთ „მესაკუთრის" 2007 წლის 16 მაისის №17 (516)-ში და 23 მაისის №18 (518)-ში.

## ქ.თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველო აცხადებს აუქციონს ჩამოწერის შედეგად მიღებული ჯართის რეალიზაციის შესახებ

1. ქ. თბილისის №170 საჯარო სკოლის შენობის რემონტის შედეგად მიღებული შავი ლითონის სავარაუდო წონაა 7,234 ტონა. ერთი ტონა შავი ლითონის ღირებულება შეადგენს 130 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში. „ბიჯი"-ს სიდიდე 1 ტონა შავ ლითონზე შეადგენს 10 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში, „ბე" 300 აშშ დოლარის ოდენობით ეროვნული კურსით ლარებში. მონაწილის ბილეთის სიდიდე განისაზღვრება 10 ლარის ოდენობით.

2. ქ. თბილისის №45 საჯარო სკოლის შენობის რემონტის შედეგად მიღებული ჯართის სავარაუდო წონაა 4,469 ტონა (მ.შ. შავი ლითონი 3,619 ტ. თუნუქი 0,850 ტ.). 1 ტონა შავი ლითონის ღირებულება შეადგენს 130 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში, 1 ტონა თუნუქის ღირებულება შეადგენს 85 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში. „ბიჯი"-ს სიდიდე შეადგენს 15 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში (მ.შ. ყოველ 1 ტ. შავ ლითონზე 10 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში, ყოველ 1 ტ. თუნუქზე 5 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში), „ბე" 150 აშშ დოლარის ოდენობით ეროვნული კურსით ლარებში. მონაწილის ბილეთის სიდიდე განისაზღვრება 10 ლარის ოდენობით.

3. საქართველოს გენერალური პროკურატურის ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების (2 ავტომანქანის) ჩამოწერის შედეგად მიღებული ჯართის ღირებულება შეადგენს 210 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში. „ბიჯი"-ს სიდიდე განისაზღვროს 10 აშშ დოლარის ოდეობით ეროვნული კურსით ლარებში, „ბე" - 30 აშშ დოლარის ოდენობით ეროვნული კურსით ლარებში. მონაწილის ბილეთის სიდიდე განისაზღვრება 10 ლარის ოდენობით.

ჯართის საბოლოო დაზუსტებული წონა განისაზღვრება აუქციონში გამარჯვებულის და ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ერთად.

აუქციონში გამარჯვებულმა უზრუნველყოს თავისი ხარჯებით ჯართის დამუშავება და გატანა.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 09.11.06წ. №16/59/100-6 წერილის თანახმად, აუქციონში მონაწილეთა განაცხადების მიღება მიმდინარეობს 2007 წლის 30 მაისიდან 29 ივნისის ჩათვლით 11 საათიდან 16 საათამდე. იმ შემთხვევაში, როდესაც 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განაცხადების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველი სამუშაო დღეს, იმავე საათზე. აუქციონი ჩატარდება 2007 წლის 29 ივნისს 16:30 საათზე.

თანხა ჩაირიცხება მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (ცენტრალური), ანგარიში: 200122900, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: 220101222, სახაზინო კოდი: 302003000

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს იურიდიულ განყოფილებას, მისამართი გ. ტაბიძის ქ.№4, მე-4 სართული, ტ.93-37-64.

შენიშვნა: ინფორმაცია გამოქვეყნებულია გაზეთ „მესაკუთრის" 2007 წლის 23 მაისის №18 (517)-ში.

№ 103. შაბათი, 2 ივნისი, 2007 წელი.

რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-96-32; 899 328576

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ქ.თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველო აცხადებს აუქციონს შემდეგ ობიექტებზე

| | ობიექტის დასახელება მისამართი | შენობა-ნაგებობის დახასიათება | ფართი კვ.მ | მიწა წილობრივად კვ.მ (საერთო სარგებლობაში) | საწყისი ფასი აშშ დოლარი ეროვნული კურსით ლარებში | ბიჯი აშშ დოლარი ეროვნული კურსით ლარებში | „ბე“ აშშ დოლარი ეროვნული კურსით ლარებში | საიჯარო ქირა | მონაწილის ბილეთის სიდიდე ლარი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, კედიას ქ. № 9 | 9 სართულიანი საცხოვრებელი სახლის I სართული | 64,07 | | 30000 | 1000 | 6000 | | 50 |
| 2 | ძველი თბილისის რაიონი, ჩიტაიას ქ. № 17 | 4 სართულიანი საცხოვრებელი სახლის სარდაფი | 146,05 | | 45000 | 2000 | 8000 | | 50 |
| 3 | ძველი თბილისის რაიონი, ვერცხლის ქ. № 33 | 3 სართულიანი საცხოვრებელი სახლის სარდაფი | 39,7 | | 30000 | 1000 | 6000 | 17,04 აშშ დოლარი | 50 |
| 4 | ძველი თბილისის რაიონი, მარჯანიშვილის ქ. № 44 | 1 სართულიანი ცალკე მდგომი შენობა-ნაგებობა № 2 | 71,5 (ა.შ. ფარდული 22,5 კვ.მეტრი) | | 35000 | 2000 | 7000 | | 50 |
| 5 | ისანი-სამგორის რაიონი, ბაღდადის ქ. № 9 | II სართულიანი შენობის I სართული | 24,6 | | 15000 | 1000 | 5000 | | 50 |
| 6 | გლდანი-ნაძალადევის რაიონი, ულიანოვის I შესახ. № 66-ში მდებარე მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული ცალკე მდგომი შენობა № 1 (259,4 კვ.მეტრი), № 2-სახელმწიფო საკუთრება | 1 სართულიანი ცალკე მდგომი შენობა-ნაგებობა № 1 და № 2 | 259,4 | 1498 | 50000 | 2000 | 8000 | | 50 |

შენიშვნა: — უძრავი ძეგლის მესაკუთრე უფლებამოსილია: უძრავი ძეგლის დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე, სამინისტროსთან გააფორმოს დაცვითი ხელშეკრულება, ამ ძეგლის დაცვითი რეჟიმის მითითებით (შენიშვნა გასათვალისწინებელია ლოტი №2-სთვის).

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 09.11.06წ. №16/59/100-6 წერილის თანახმად აუქციონში მონაწილეთა განაცხადების მიღება მიმდინარეობს 2007 წლის 23 მაისიდან 22 ივნისის ჩათვლით ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა) 11 საათიდან 16 საათამდე. იმ შემთხვევაში, როდესაც 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განაცხადების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს, იმავე საათზე. აუქციონი ჩატარდება 2007 წლის 22 ივნისს 16:30 საათზე.

თანხა ჩაირიცხება მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (ცენტრალური), ანგარიში: 200122900, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: 220101222, სახაზინო კოდი: 302003000.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ ქ.თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს იურიდიულ განყოფილებას, მისამართი გ. ტაბიძის ქ.№4, მე-4 სართული, 93-37-64

შენიშვნა: ინფორმაცია გამოქვეყნებულია გაზეთ „მესაკუთრის“ 2007 წლის 23 მაისის №18 (517)-ში.

**რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე**

# ღვინო და „გორჯომი“ მოიცდის



თბილისში წარუმატებლად დასრულდა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის საკითხზე რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკების პირველი რაუნდი. როგორც რუსეთის დელეგაციის მეთაურმა, რუსეთის ფედერაციის ეკონომიკური განვითარებისა და ვაჭრობის სამინისტროს სავაჭრო მოლაპარაკებათა დეპარტამენტის დირექტორმა მაქსიმ მედვედკოვმა განაცხადა, საქართველო რჩება იმ ერთადერთ ქვეყნად, რომელთანაც რუსეთი ვერ ახერხებს მორიგების მიღწევას ამ საკითხის თაობაზე — დანარჩენ ქვეყნებთან და ევროკავშირთან ან უკვე მიღწეულია პრინციპული შეთანხმებები, ან არსებობს ხელმოწერილი ორმხრივი ხელშეკრულებები.

საქართველოს ეკონომიკის მინისტრმა გიორგი არველაძემ კი, 31 მაისს განაცხადა, რომ „თბილისი ხსნის ყველა სხვა პრეტენზიას“ და დღის წესრიგში ტოვებს მხოლოდ ერთ საკითხს — აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში საბაჟო რეჟიმის შესახებ. ქართველ ღვინის მწარმოებელთა პრეტენზიების განმარტებისას (რუსეთმა, როგორც ცნობილია, 2006 წლის მაისში დაუწესა ემბარგო საქართველოდან ღვინის იმპორტს), საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა სტრუქტურულ და ეკონომიკურ რეფორმათა საკითხებში კახა ბენდუქიძემ, ასეთი განცხადება გააკეთა: საქართველო ვერ იტყვის უარს თავის ტერიტორიულ მთლიანობაზე და ვერ მოხსნის მოთხოვნებს სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის საბაჟო-გამშვები პუნქტების ლეგალიზაციის შესახებ. შეგახსენებთ, რომ საქართველო მოითხოვს ამ პუნქტების არა დახურვას, არამედ მათ ლეგალიზაციას, ანუ იქ საქართველოს საბაჟოს სრულუფლებიანი წარმომადგენლების ყოფნას.

ამ საკითხის განხილვაზე რუსეთის დელეგაციამ უარი განაცხადა. მაქსიმ მედვედკოვის თქმით, „საკითხი, რომელსაც ქართველი კოლეგები სვამენ საბაჟო პუნქტებთან დაკავშირებით, არ არის დარეგულირებული მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის შესახებ შეთანხმებებით. საქართველოს მიაჩნია, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრობა გულისხმობს ეკონომიკური საზღვრების ორმხრივ აღიარებას“.

მოლაპარაკების ერთადერთი შედეგი გახდა მორიგება შეხვედრის მეორე რაუნდის გამართვის შესახებ, რომელიც სავარაუდოდ, შედგება მოსკოვში მიმდინარე წლის ივნისის დამლევს ან ივლისის დამდეგს. არადა, ამ საკითხის გაჭიანურება, ძალზე არახელსაყრელია თვით რუსეთისთვის, რადგან მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წესების თანახმად, მანამ, სანამ მოსკოვი მიაღწევდეს თბილისთან მორიგებას, იმ 58 ქვეყნიდან ნებისმიერს, რომლებმაც რუსეთთან უკვე დადეს ორმხრივი შეთანხმებები, შეუძლია ამ საკითხზე მოლაპარაკების განახლება. უწინარეს ყოვლისა, ეს ეხება ევროკავშირს: შეგახსენებთ, რომ ფინეთის ხელისუფლების განცხადებით, ჰელსინკიმ შესაძლოა გააუქმოს ევროკავშირ-რუსეთის ხელშეკრულება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის თაობაზე. მანამდე კი ასეთივე შინაარსის განცხადება პოლონეთის მთავრობამაც გააკეთა.

**ვლადიმერ ნოვიკოვი,**
**დიმიტრი ბუტრინი**

**Коммерсантъ**

(იბეჭდება შემოკლებით)

# განცხადება საქართველოს მეცნიერებათა აკადემია აცხადებს კონკურსს აპარატის შემდეგი თანამდებობების დასაკავებლად

| | | ხელფასი |
|---|---|---|
| 1. კადრების მთავარი სპეციალისტი | 1. საშტ. ერთ. | 200 |
| 2. აკადემიის იურისტი | 1. საშტ. ერთ. | 190 |
| **საფინანსო სამსახური** | | |
| 3. საფინანსო სამსახურის უფროსი — მთავარი ბუღალტერი | 1. საშტ. ერთ. | 220 |
| 4.წამყვანი ეკონომისტი | 1. საშტ. ერთ. | 200 |
| 5. ბუღალტერი | 1. საშტ. ერთ. | 130 |
| **კანცელარია** | | |
| 6. კანცელარიის უფროსი | 1. საშტ. ერთ. | 200 |
| 7. კანცელარიის მთავარი სპეციალისტი | 1. საშტ. ერთ. | 150 |
| 8. სპეციალისტი (P. C. მბეჭდავი) | 1. საშტ. ერთ. | 130 |
| 9. სპეციალისტი (სამრავლებელი ტექნიკის ინჟინერი) | 1. საშტ. ერთ. | 130 |
| 10. ვიცე-პრეზიდენტის მდივანი | 3. საშტ. ერთ. | 130 |
| 11. აკადემიკოს-მდივნის მდივანი | 1. საშტ. ერთ. | 130 |
| 12. პრეზიდენტის მოადგილის მდივანი | 1. საშტ. ერთ. | 130 |
| **არქივი** | | |
| 13. მთავარი არქივარიუსი | 1. საშტ. ერთ. | 180 |
| **საინფორმაციო და უცხოეთთან ურთიერთობის სამსახური** | | |
| 14. საინფორმაციო სამსახურის უფროსი | 1. საშტ. ერთ. | 200 |
| 15. საინფ. სამს. მთავარი სპეციალისტი | 1. საშტ. ერთ. | 150 |
| 16. წამყვანი სპეციალისტი (მთარგმნელი) | 1. საშტ. ერთ. | 130 |
| 17 პრეს-მდივანი | 1. საშტ. ერთ. | 150 |
| **სამეურნეო სამსახური** | | |
| 18. სამეცნიერო სამსახურის უფროსი | 1. საშტ. ერთ. | 200 |
| 19. უფროსის მოადგილე — მთავარი ინჟინერი | 1. საშტ. ერთ. | 165 |
| 20. შენობის კომენდანტი | 1. საშტ. ერთ. | 130 |
| **საოქმო** | | |
| 21. მთავარი სპეციალისტი | 1. საშტ. ერთ. | 200 |
| 22. სტენოგრაფისტი | 1. საშტ. ერთ. | 130 |
| **ჟურნალი „მოამბე“** | | |
| 23. აღმასრულებელი რედაქტორი | 1. საშტ. ერთ. | 200 |
| 24. რედაქტორი | 1. საშტ. ერთ. | 140 |
| 25. ტექნიკური რედაქტორი | 1. საშტ. ერთ. | 180 |
| **მინი-სტამბა** | | |
| 26. მინი-სტამბის უფროსი | 1. საშტ. ერთ. | 180 |
| 27. სტამბის წამყვანი ინჟინერი | 1. საშტ. ერთ. | 160 |

**სულ 29 საშტ. ერთ.**

**საკონკურსო პირობების გასაგებად გთხოვთ, მიმართოთ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას, მისამართი: რუსთაველის გამზირი №52, ოთახი 311, 314. ტელეფონი: 99-00-52.**

**საკონკურსო კომისია**

**ჩვენს მთავარ საოცნებო, სტრატეგიულ მიზანს მხოლოდ იმ შემთხვევაში მივაღწევთ, თუკი უარს ვიტყვით საყოველთაოდ ცნობილ ჩვენს ქართულ კუდაბზიკობაზე, გამოვალთ უეფადან (ვიდრე არ გავურიცხივართ) და აზიის ჯგუფიდან ბუნებრივი და გეოგრაფიული მაჩვენებლების გათვალისწინებით შევეცდებით დასახული მიზნის მიღწევას...**



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ⊙ გულშემატკივრის ტრიბუნა

# DUM SPIRO, SPERO

**მიუხედავად 13 მაისის ამაღლებული განწყობილების ერთგვარი გაუფერულებისა, დაუოკებელი სურვილი გაგვიჩნდა ორიოდე სიტყვა ჩვენც გვეთქვა მომხდარის შესახებ...**

განა ამ მასონურ სამყაროში გვაოცებდეს უნდა რაიმე?

პირიქით, გასაკვირი ის იქნება, ობიექტურად, დემოკრატიულად რომ ჩატარდეს სპორტული, გნებავთ, მუსიკალური კონკურსები, მით უმეტეს, პოლიტიკური არჩევნები.

როგორ გავიმეტო მამამისის შვილი მაგრამ ისიც უნდა ვაღიარო. რომ ჭეშმარიტი ევროპელი გამხდარა, მაშასადამე, უსულგულო, უსირცხვილო, უზნეო და ამორალური (ვინც ევროპელობაზე დებდა თავს ამ რამდენიმე წლის წინათ, თანაც შუაგულ ევროპაში, რაც დაემართა, ყველას კარგად მოგვეხსენება).

ზედმეტი პარალელებით მკითხველი რომ არ გადავღალო, პირდაპირ ვიტყვი, რომ ჩვენს მთავარ საოცნებო, სტრატეგიულ მიზანს მხოლოდ იმ შემთხვევაში მივაღწევთ, თუკი უარს ვიტყვით საყოველთაოდ ცნობილ ჩვენს ქართულ კუდაბზიკობაზე, გამოვალთ უეფადან (ვიდრე არ გავურიცხივართ) და **აზიის ჯგუფიდან** ბუნებრივი და გეოგრაფიული მაჩვენებლების გათვალისწინებით შევეცდებით დასახული მიზნის მიღწევას... ესაა სწორედ ერთადერთი გამოსავალი, ერთადერთი გზა, რომელიც ტაძართან მიგვიყვანს ანუ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ელიტაში ჩაგვრთავს...

ვერ გაგვიგია, რა ჯანდაბა უნდათ უეფაში კავკასიის გუნდებს, თუნდაც თურქეთს, მით უმეტეს, ყაზახეთს (!)

ახლა წვრილმანი საკითხები:

გული ნაწილობრივ იმით შეგვიძლია დავიმშვიდოთ, რომ ფიფაუეფაშიც არ არიან წმინდანები; მარტო 1994 წლის გახსენება რად ღირს, როდესაც ე.წ. **ჟოაო აველანჟმა** არაკაც **პელესთან** ერთად (თავადაც აღიარა „სიკეთე"), რაც ჩაიდინა... აგრეთვე **იუჰანსონის** ფინანსური მაქინაციები, თუნდაც **მიშიკო პლატინისა** და არარაობა **მ. ჟორდანიას** მეგობრობა: ვინც ვერც საქმე გააკეთა, ვერც პირად მეუღლეს მოუარა და ვერც საკუთარ თავს... მოკლედ, ორივე მაგარი **ბრენდია.**

მაშინ როგორ არ ატეხეთ განგაში, როდესაც ერთუჯრედიანი ტ. ონიანის ერთმა სატელეფონო ზარმა, თუ ავადსახსენებელი ჯ. იოსელიანის ნებამ დასვა იგივე ჟორდანია პრეზიდენტის სავარძელში!!!

შემდეგ, რამდენი ნაყარ-ნუყარა გუნდი ცოდვილობს საქართველოში, ხოლო ქართული ფეხბურთის აკვანი სადაც დაირწა, ფოთის „კოლხეთი" და „შევარდენი – 1906" საერთოდ აღარ არსებობენ; ვისთვის ან რისთვის ილვწიან მეცენატები?.. შეგნებულად არაფერს ვამბობთ **ჰერ კლაუსის** შესახებ, გარდა ერთი ანდაზისა: „თურაშაულის პატრონი ტყეში ეძებდა პანტასა", ვისაც ვგულისხმობ, ალბათ ყველა მიგვიხვდება.

რაც შეეხება **მ. კვარაცხელიას,** დღეს ჭეშმარიტი გმირი სწორედ ისაა ამ გაუკაცრიელებულ ქვეყანაში (სახელმწიფოს ჯვარი სწერია), რომელსაც ცხვირმოუხოცელი მუტრუკები მართავენ ჯერჯერობით, სადაც აკადემიკოსებს, მინისტრებს, ჟურნალისტებს ძაღლებივით კლავენ...

მიუხედავად ზემოთქმულისა, იმედით ცოცხლობს ადამიანი, DUM SPIRO, SPERO – ვიდრე სული გვიდგას, ვიმედოვნებთ!..

გულშემატკივართა ერთი ჯგუფის სახელით:

**რომან კალაძე**

**P. S. გვინდა ვისარგებლოთ შემთხვევით და რუსთავის „ოლიმპს" მივულოცოთ დამსახურებული გამარჯვება.**

**სტილი დაცულია.**

## ⊙ ლეგიონერი

# არის ასეთი მცველი

**მეტი რომ არა ვთქვათ, უხერხულია, როცა ინწკირველის, მინაშვილისა და საკანდელიძის სამშობლოში კვალიფიციურ უკანახაზელთა დეფიციტის გამო ეროვნულ ნაკრებში ნატურალიზებულ უცხოელს მოიწვევენ.** რასაკვირველია, სასაყვედუროდ ენა არ მოგვიბრუნდება შემონდ უილიამსისა და ტაირონ ელისის მიმართ, მაგრამ ისიც ვიკითხოთ, რამდენად ვიყენებთ თანამემამულეთა ტალანტს. პირდაპირ გიპასუხებთ (მანუჩარ მარკოიშვილი, ტულუში, გამყრელიძე), გაცილებით მეტ დროს უნდა ატარებდნენ სარბიელზე, ისევე, როგორც ცინცაძე.

ეს უკანასკნელი რომ „ჯვაროსანთა" კანადელ თავკაცს გორდონ ჰერბერტისგან მეტ ნდობას იმსახურებს, ამ დღეებში დადასტურდა, როცა „ბუ" ესტონეთის ჩემპიონი გახდა. მისმა კლუბმა, „ტარტუ როკმა" ფინალური სერია 4:2 მოუგო „კალევს". მთამბეჭდავია გიორგის პირადი მონაგარიც: რეგულარული პირველობის 24 შეხვედრაში მან 65 მოხსნა და 69 პასი მოაგროვა, აქედან „პლეი-ოფის" 9 მატჩში, შესაბამისად, 26 მოხსნა და 27 პასი. დაუმატეთ ამას 59 ქულა და, ვიმედოვნებთ, დარწმუნდებით ცინცაძის პროფესიონალიზმში.

## ⊙ მხარე

# გიყვართ სწრაფი ჭადრაკი?

**ვინც ჭადრაკის ამ სახეობის ტრფიალია, შინ რა გააჩერებდა? დილიდანვე გორის საჭადრაკო კლუბში ბრძნული თამაშის მოყვარულებმა მოიყარეს თავი. საჭირო გახდა შესარჩევი შეხვედრების გამართვა, რომ შემდგომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღისადმი მიძღვნილ ამ ტურნირზე უძლიერეს მოჭადრაკეებს მთავარი პრიზი გაეთამაშებინათ.**

ფინალური ორთაბრძოლები ფიცხელი და უშელავათო გამოდგა (ტურნირზე მხოლოდ ორი ყაიმი დაფიქსირდა). საბოლოოდ პირველი პრიზი ინჟინერ-მექანიკოსმა ზურაბ ჯანეზაშვილმა ირგუნა, რომელმაც 15 შესაძლებლიდან 11 ქულა მოაგროვა.

შეჯიბრების მონაწილე ერთადერთმა გოგონამ, ქალაქის №3 საშუალო სკოლის მოსწავლემ ეკა გოგლიძემ, ვისთანაც ქალაქის უძლიერეს მოჭადრაკე მამაკაცებსაც კი სასიამოვნო მოგონებები არ უნდა აკავშირებდეთ, 9,5 ქულით მეოთხე ადგილი დაიკავა. გოგონა, ეტყობა მთლიანად არ გახარჯულა, მომავალი ბატალიებისთვის ემზადება, თბილისში რომ უნდა გაიმართოს.

კმაყოფილია ჭადრაკის დაუღალავი პროპაგანდისტი – კლუბის დირექტორი და შეჯიბრების მთავარი მსაჯი გურამ ნუკნიაშვილი. ქალაქში საჭადრაკო ცხოვრებამ გამოიღვიძა და ეს, უპირველეს ყოვლისა, გორის მუნიციპალიტეტის გამგებლის ვასილ მახარაშვილის ხელშეწყობითა და მხარდაჭერით ხდება.

ყველგან რომ ასეთი გამგებლები გვყავდეს...

**გურამ ვაშაკიძე,**
„სრ" საკ. კორ.

## ⊙ სიტუაცია

# რა საჭიროა ფედერაციები, თუკი სპორტსმენები დაზარალდებიან?

**დამთავრდა საქართველოს მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა ეროვნული ჩემპიონატი, რომელშიც თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის 60-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა.**

უფროს ასაკში ჩემპიონობა მოიპოვა მზევინარ სამუკაშვილმა, რომელიც შარშან რუსეთიდან დაბრუნდა. მეორე ადგილზე ნინო აბაიშვილი გავიდა. სამწუხაროდ, ბრინჯაოს მედალი არ გათამაშებულა.

ახალგაზრდებში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. ელენე ტიტოვა (ბათუმი), 2. ციცია მკერვალი, 3. ირინე ხოფერია (ორივე – თბილისი).

ამ შეჯიბრებაში არ გამოდიოდნენ საქართველოს წამყვანი ტანმოვარჯიშეები – თათია დონაძე, ქეთი ხატიაშვილი და სხვები, რადგან ისინი იმ ოპოზიციური ფრთის წარმომადგენლები არიან, რომელსაც ნელი სალაძე უდგას სათავეში. მხატვრული ტანვარჯიშის ფედერაცია დამოუკიდებლად გამართავს ეროვნულ ჩემპიონატს. ორი წელიწადია, ამ გაწევ-გამოწევაში სპორტსმენები ზარალდებიან. ივნისის ბოლოს ბაქო მხატვრულად ტანმოვარჯიშეთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. იქ საქართველოს სამმა წარმომადგენელმა უნდა იასპარეზოს. ტანვარჯიშულ სახეობათა ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის ფიქრია ფანქველაშვილის თქმით, ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე აზერბაიჯანის დედაქალაქში, შესაძლოა, დონაძე და ხატიაშვილიც გაემგზავრონ. თუმცა, სიტუაციას ისეთი პირი უჩანს, რომ ადვილი მოსალოდნელია, ჩვენი ორი წამყვანი ტანმოვარჯიშე შინ დარჩეს.

**მაშინ ისმის კითხვა: რა საჭიროა ფედერაციები, თუკი სპორტსმენები დაზარალდებიან?**

## ⊙ ფიფა

# ისევ ბლატერი

**2011 წლამდე მსოფლიო ფეხბურთის თავკაცი ისევ ზეპ ბლატერი იქნება.**

თითქმის 71 წლის ბლატერი ერთადერთი კანდიდატი იყო ამ პოსტზე და ხუთშაბათს ფიფას ყოველწლიურ 57-ე კონგრესზე, რომელიც ციურიხში გაიმართა მას ხმა მისცა 207-ვე წევრმა.

„ერთგვარად გავვოცდი, ერთადერთი კანდიდატი რომ აღმოვჩნდი, რადგან მიყვარს შეჯიბრებითობის სულისკვეთება. ნამდვილად მინდოდა, რომ კონკურენტები მყოლოდა" – განაცხადა წინა დღეს ბლატერმა.

## ⊙ შენ, ნიჭო ჩემო!

# ექვსი წლის ჩემპიონი

**თავიდან არაფრით გამოირჩეოდა თანატოლი გოგო-ბიჭებისგან. დილით ადგებოდა თუ არა, ეზოში ჩავიდოდა და სანამ დედა არ დაუძახებდა, თამაშის მეტი არაფერი ახსოვდა.**

ერთ დღეს შინ შემოსულმა დაინახა, რომ მამას და ბაბუას მაგიდაზე შავ-თეთრად აჭრელებული დაფა გაეშალათ და ზედ დალაგებულ უცნაურ ფიგურებს უხმოდ ადგილს უცვლიდნენ.

ბიჭუნას ისე მოეწონა ეს უცნაური ფიგურები და აჭრელებული დაფა, რომ რამდენჯერმე ხელით შეხებაც მოინადინა, მაგრამ უფროსებმა არ დაანებეს. მერე და მერე მოთამაშე მამას და ბაბუას რომ დაინახავდა, უმალ მათ გვერდით გაჩნდებოდა და დიდხანს უყურებდა მათს პაექრობას.

როცა მისთვის არავის ეცალა, თავად გაშლიდა ჭადრაკის დაფას და ხან მამას, ხანაც ბაბუას ეხვეწებოდა, მეთამაშეო. უფროსებმა გამოსავალი მონახეს: კომპიუტერში ჭადრაკის ელექტრონული ვერსია ეგულებოდათ, მარტივად აუხსნეს – აი, აქ, შენსავით პატარა ბიჭუნები გეთამაშებიანო. 5 წლის დათას ამგვარი გართობაც მოეწონა და ამის შემდეგ კომპიუტერს ერთი დღესაც არ მოსცილებია, საუკეთესოდ შეისწავლა პროგრამაც და თამაშის წესებიც. გავიდა დრო და აღმოჩნდა, რომ დათასთვის ჭადრაკი მხოლოდ გართობა არ იყო.

ჭადრაკის სასახლეში დათა ლობჟანიძეს ალერსით შეხვდა პედაგოგი თემურ ხანთაძე, რომელიც ყურადღებით მოეკიდა პატარა ბიჭის გატაცებას. ჭადრაკთან ერთად ზნეობის გაკვეთილებსაც აძლევდა. სასარგებლო შრომა უშედეგოდ არასოდეს იკარგება, არც აქ დააყოვნა შედეგმა. რამდენიმე თვეში საკვალიფიკაციო ტურნირებზე წარმატებით იასპარეზა და ხუთი წლისამ ჯერ IV, ხოლო შემდეგ III თანრიგი მოიპოვა.

ამას წინათ, რვაწლიანთა საქართველოს პირველობაზე 6 წლის დავით ლობჟანიძემ ჩემპიონობა მოიპოვა და პირველი მედალიც დაიმსახურა.

იგი ჯერ სკოლაში არ დადის, არც წერა-კითხვა იცის და მაგიდასაც ხეირიანად ვერ წვდება, სამაგიეროდ, ჭადრაკის ანა-ბანას მშვენივრად ფლობს და პარტიებს უშეცდომოდ კითხულობს ქაღალდზე.

პატარა დავითი მოწადინებას არ იშურებს, წლეულს მას სერიოზული გამოცდა ელის – 8 წლამდე ასაკის მოზარდებს შორის მსოფლიო პირველობა. ბიჭი დიდ საჭადრაკო მომავალზე ოცნებობს და, თუ სათანადო პირობები შეექმნება, ერთ მშვენიერ დღეს მისი სურვილი ახდება – უთუოდ სანაქებო მოჭადრაკე დადგება.

წარმატება ვუსურვოთ ექვსი წლის ჩემპიონს – დავით ლობჟანიძეს.

**დიმიტრი რაჭველიშვილი**



**სურათზე:** თამაშობს დავით ლობჟანიძე (მარცხნივ).

## ⊙ იცოდით?

# წყურვილი ლუდით მოიკალით!

**ასეთ რეკომენდაციას აძლევენ სპორტსმენებს ესპანეთის ქალაქ გრანადაში გამართული სიმპოზიუმის მონაწილე ექსპერტები, სწორი კვების საკითხებზე რომ შეიკრიბნენ, ისინი ამტკიცებენ, რომ ქერის სასმელი ზომიერი დოზით ეხმარება ორგანიზმს, უკეთ გაუმკლავდეს გაუწყლოებას და თან ზეგავლენა არ მოახდინოს მინდვრის ხედვაზე და დაშვებული შეცდომების რაოდენობაზე.**



თავად სიმპოზიუმსაც ერქვა: „ლუდი, სპორტი და ჯანმრთელობა". პრაქტიკულად ყველა მისმა მონაწილემ რეკომენდაცია გაუწია ამ ქაფიანი სასმელის სპორტსმენის დღის რაციონში შეტანას –„აღნიშნავდნენ რა მის თვისებას – შეანელოს ან თავიდან აიცდინოს გულსისხლძარღვთა სისტემისათვის სასარგებლო ორგანული ნივთიერებების ჟანგვა.

ამასვე ამტკიცებს ამჟამად კარდიოლოგი, წარსულში კი კალათბურთელი ხუან-ანტონიო კარბალანი. მისი მტკიცებით ეს სასმელი „აბსოლუტურად შეესაბამება" დიდ სპორტულ დატვირთვას. მთავარია, დავიცვათ ზომიერება. ლუდი, წყლის შემდეგ სპორტსმენის მთავარი სასმელიაო, – დარწმუნებულია კარდიოლოგი.

№ 103. შაბათი, 2 ივნისი, 2007 წელი.

● მე კი, ჟამგასულს, გამოხვეულს სახლის ხალათში,
ოცნებად მექცა — ყინჩად გავლა დედაქალაქში



№ 103. შაბათი, 2 ივნისი, 2007 წელი.

◎ პოეზია



## გურამ გომართელი

### დადგა მაისი

ფანჯრის რაფაზე ჩამწკრივებულ
ქოთნის ყვავილებს
უსკდებათ გული — დადგა მაისი.
შხაპუნა წვიმამ მოხრილი ხე
გაშალა წელში,
მათ კი, ონკანის წყალს უსხამენ
გამომშრალ ყელში.
აქ, გალიაში, თუთიყუში
ხარიხას კორტნის,
ნალოლიავებს, ნაფერებს და
სათუთად მოვლილს —
შურს ბედი ყორნის.
მე კი, ჟამგასულს, გამოხვეულს
სახლის ხალათში,
ოცნებად მექცა — ყინჩად
გავლა დედაქალაქში.

### ჩვენი შემოდგომა

ეს წელიწადი ისე გავიდა,
არ აღგვინიშნავს ჩვენი თარიღი...
სვეტიცხოველის მწვანე ხალიჩა
ვერ მოგატარე დედოფალივით;
ვერც სოლოლაკის მყუდრო უბანში
თბილისის ქება ვერ გათქმევინე,
ღვინო ვერ ვწრუპეთ გიგოს დუქანში,
წავკისში ვარდი ვერ გაკრეფინე;
აფერადებულ კოჯრის დიდ ტყეში
ვერ ჩავიმუხლეთ დამბალ ნეშოში,
გულმოკლულებმა იშხნელთა ხმებით,
ვერ გავათენეთ უცნობ ეზოში.
არა და, როგორც შორეულ ზღაპარს,
ამ დღეებს სულში ჩავიგვირისტებ,
წვიმიან ბათუმს, ჩახჩახა გაგრას,
ვარაზისხევის დახრილ ბილიკებს,
დღეებს ნათელს და დღეებს გატანჯულს
ცუდ სიზმარივით, რომელსაც ვმარხავ,
ცხოვრებას გავლილს, უკვე გარდასულს,
და დიდ სიხარულს —
რომ კვლავაც მყავხარ!

### წამიერი...

გაზაფხული მობრძანდა და,
მე კი უნდა ვიმარხულო.
მაისამდე მოითმინე,
საგულეში ჩადექ, გულო!
ცაში გეძებ, ზეციერო,
სამუდამოდ დაკარგულო,
გაფრენილო სიჭაბუკევ,
უკან როგორ დაგიბრუნო?

### „დავბერდი? — არა!“

ო, როგორ მიტევს თეთრი სიბერე,
მემუქრება და მუშტებს მიღერებს,
მე დამადუმა, თვითონ ღიღინებს,
საქვეყნოდ ჰყვება, რასაც მიპირებს.
ჩემსას არ ვიშლი, მზისკენ მივიწევ,
ყველა ავ სიტყვას უმალ ვივიწყებ.
არცა ვტყდები და არცა ვლონდები,
ისევ ჩავიცვამ შინდისფერ პერანგს,
ბიჭებს ვერაზე დაველოდები!

### ცოტაც აცალეთ

სარკმლიდან ვხედავ მეზობელი
ნორჩ ბალახს ცელავს.
მწვანე მინდორზე ბასრი პირი
ბოროტად ელავს.
ეს ის ცელია, სინათლეს რომ
გადგვიქცევს ბნელად,
ცოტაც აცალეთ,
თავის დროზე, მოგვხედავს ყველას!

### 70 წლის გოჩა აბაშიძეს

ბონდის ხიდი ყვირილაზე ქანაობდა,
წისქვილის წინ კვიცი ბალახს წიწკნიდა,
ნისლის ფარდა, საკოხიას მთის ფერდიდან,
ლურჯ ალიონს აეკრიფა პირწმინდად.
შესევიან ტოროლები ბალჩა-ბაღებს,
ჭიგოს მკლავი გადააჭდო ვაზმა,
ოქროს თევზი გაქცეოდა ბადეს,
უდარდელად მიცურავდა... ალმა.

... შემოიჭრა ხიდზე ჯიქურ,
თეთრპერანგა ჭაბუკი,
თმახუჭუჭა, მკლავგაშლილი, სწრაფი,
როგორც ქარბუქი,
მწყაზარ სახეს მზეს უფიცხებს,
სიხარულს ვერ აუდის,
მკერდზე დაკიდული ჯვარი კრთის,
ლაპლაპი გაუდის.
თვალი ველარ მოაშორა,
თავის კუთვნილ ცის ნაჭერს,
მთა-ბარს ელოლიავება,
ლოცვას უთვლის მის გამჩენს.
ნეტავი სად მიიჩქარის,
ვერავის რომ ვერ ამჩნევს?

... და ირწევა ბეწვის ხიდი, ხან სწორი,
ხან დახრილი,
ვისთვის ტანჯვით გასავლელი,
ვისთვის ძალზე ადვილი.
უდარდელად მიაბიჯებს ალალი,
გულგაშლილი.
სიხარულით ვერც კი ამჩნევს —
ფიცრებია აყრილი.

... ბევრჯერ, ბევრჯერ ჩამორეკეს
წუთისოფლის ზარებმა,
მერამდენედ გაგიხსენეს
მოჩითულმა ჭალებმა!
გაზაფხული წელსაც დადგა,
არემარე აიკლო,
სხვისას არ წაეპოტინა —
თავისი არ დაიკლო,
მაგრამ მალე მოიწყინა, დაეკარგა ხალისი:
ენატრები, ვერ გიპოვა, გეძებს
შენი მაისი!

### ექსპრომტი ქალბატონ ლიანა ასათიანს!

„სილამაზეს“ ნუ ახსენებთ ლიანასთან,
ვერ გაიგეთ? — შეხებაც კი არ აქვს მასთან!
ნურც „სიკეთეს“ გაუტოლებთ მის ხასიათს,
დაეხსენით, თავადის ქალს, ასათიანს!

### ოთარ ჩარკვიანის გახსენება

დგას სუფრის თავში
მასპინძელი თავაზიანი,
მკვიდრად შეკრული, ფუძემყარი,
ძმებში პირველი,
სიტყვა მართალი, ხმა მჭექარე,
ბარაქიანი,
ავის ამრიდი, კარგის შემწე,
გასაკვირველი,
მეინახეებს სასიკეთოდ მოსულთ
ამ ქვეყნად,
სამშობლო, სახლი, მეგობრობა
ექციათ ღმერთად,
ლოზუნგად ჰქონდათ —
„ქართველები ვიყოთ სულ ერთად!“
არც ერთ იმათგანს არ უვლია
ეულად, კენტად.
... მახინჯაურის მყუდრო სახლი
კვლავ სტუმრებს ელის,
მონატრებია, ცხადად ხილვა
წასული ძმების,
ჩახლეჩილი ხმით, გულსაკლავად,
ვიღაცა მღერის,
ეს, ზედგენიძე, გიტარაზე
აკვნესებს „მერის!“.

◎ გამოცემა

## მსოფლიო მოდის ილუსტრირებული ენციკლოპედია

ბოლო დროს საქართველოში მოდისადმი, როგორც კულტურის ულამაზესი სფერო, ინტერესი გაიზარდა, დიზაინერისა და მოდელის პროფესია დღეისთვის პრესტიჟულია, რასაც ხელს უწყობს უამრავი საინფორმაციო წყარო, მაგრამ რაც შეეხება ლიტერატურას, რომელიც დაინტერესებულ მკითხველს გზას გაუკვლევს მოდის ხელოვნებაში, ქართულ ენაში თითქმის არ არსებობს ან ძალიან მწირია და მხოლოდ რომელიმე სხვა ქვეყნის თუ ეთნოსის შესახებ მოგვითხრობს. ქართული სამოდელო ბიზნესის ჩამოყალიბებასა და კვალიფიკაციური კადრების აღზრდაში კი ეს სერიოზულ სიძნელეებს ჰქმნიდა.

აი, გამოიცა „მსოფლიო მოდის ილუსტრირებული ენციკლოპედია“ — წიგნი, ნაშრომი, რომელშიც თანმიმდევრულად არის განხილული, უძველესი დროიდან დღემდე, კაცობრიობის ჩაცმულობის ყველა ეტაპი გადმოცემულია ქვეყნებისა და ხალხების ისტორია, მათი განვითარების გზა ეპოქების დამახასიათებელი ნიშნებითურთ, რაც, ბუნებრივია, სპეციფიკურ გავლენას ახდენდა ტანსაცმლისა და ჩაცმულობის ცვალებადობასა და განვითარებაზეც.



ამ წიგნის ავტორი მეცნიერი, სამგზის საერთაშორისო ხელოვნების ფესტივალის ლაურეატი, დიზაინერი **ლალი გელაშვილია.** იგი პირველად შვიდი წლისა ეზიარა მოდის ხელოვნებას, როცა სამსახურიდან დაბრუნებულ დედას სამზარეულოს ფარდა გადაჭრილი დახვდა. ფარდის ქსოვილი კი, რომელსაც მწვანე ორნამენტები ამშვენებდა, გოგონას პირველი იდეის განსახორციელებელი მასალა აღმოჩნდა. მან მოახერხა ხელით შეეკერა გრძელი და ვიწრო ქვედაბოლო ისე, რომ ორნამენტები ნაკერში არ მოხვედრილიყო და ქვედაბოლოს წინა კალთა დაემშვენებინა.

ლალი გელაშვილმა ნაშრომზე მუშაობას რამდენიმე წელი მოანდომა, მან თავი მოუყარა მსოფლიოს ხალხებში მოდის აღმოცენებასა და განვითარებასთან დაკავშირებულ უამრავ ინფორმაციას, მოდისა და კოსტიუმების ისტორიას, მათ ცალკეულ დეტალებს, ნაშრომში გამოყენებულია რეპროდუქციები, ასევე 613 ესკიზი და 147 ფოტომასალა, რომელთა დახმარებითაც შეგვიძლია, თვალი მივადევნოთ მსოფლიო მოდის ცვალებადობას ხუთი ათას წელიწადზე მეტი დროის განმავლობაში.

წიგნი დაეხმარება უმაღლესი სასწავლებლების როგორც სპეციალური ფაკულტეტების სტუდენტებს, ასევე, სამხატვრო სასწავლებლების მოსწავლეებს, შოუ-ინდუსტრიულ ბიზნესში მომუშავე სპეციალისტებს, დამწყებ მხატვარ-დიზაინერებს. „მსოფლიო მოდის ილუსტრირებული ენციკლოპედია“ საინტერესო მხოლოდ, ზოგადად, მოდის და კოსტიუმების თვალსაზრისით როდია, მასში სიღრმისეულად არის აღწერილი ხალხების ისტორია, ჩაცმულობა, მოდა, სამოსის ცალკეული დეტალი, აქსესუარები, ვარცხნილობები, თავსაბურავები...

აღსანიშნავია, რომ ენციკლოპედიაზე მუშაობა ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს უნივერსიტეტის ბაზაზე მიმდინარეობდა.

ნაშრომი მდიდარია ილუსტრაციებით და ანალიტიკურ-ტექსტოლოგიური მასალით. საავტორო ვერსიაში გათვალისწინებულია მსოფლიოს კლასიკური და თანამედროვე ხელოვნება, ასევე, ტრადიციები, ხალხური შემოქმედება — ეროვნული კულტურული მემკვიდრეობა.

**ლელა დონაძე**

**სურათებზე:** ლალი გელაშვილი; ფოტონაშრომები.


შპს „სანუგი“ აცხადებს ლიკვიდაციას. დაინტერესებულმა პირებმა გთხოვთ, მოგვმართოთ მისამართზე: ქ. თბილისი, შავიშვილის ქ. №1-ში, ტელ: 30-94-93.

შპს „სანი ჯორჯია თრეველი“ აცხადებს ლიკვიდაციას. დაინტერესებულ პირებს გთხოვთ, მოგვმართოთ მისამართზე: თევდორე მღვდლის II ჩიხი, № 8, ტელ:. 35-68-42.

● თქვენ ჩვენთვის როგორ არა ხართ,
ჩვენ აღარა ვართ თქვენთვის!

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 103. შაბათი, 2 ივნისი, 2007 წელი.

2007 წლის 10 ივლისს დღის 17 საათზე გაიმართება სს „აბაშა-2000“-ის აქციონერთა კრება.

**დღის წესრიგი:**

1. სალიკვიდაციო ბალანსის განხილვა;
2. სამეთვალყურეო საბჭოს არჩევა;
3. აუდიტის არჩევა;
4. ორგანიზაციული საკითხი;
5. სხვადასხვა საკითხები.

**მისამართი: რადიანის №216. ტელ: 22-01-28.**

---

2007 წლის 22 ივნისს 15 საათზე ტარდება სააქციო საზოგადოება „გზის მშენებელი №11“-ის აქციონერთა მორიგი საერთო კრება

კრება ჩატარდება სს „გზის მშენებელი №11“-ის იურიდიულ მისამართზე: ქ. თბილისი, სადგური ლილო. ადმინისტრაციული შენობა, შემდეგი დღის წესრიგით:

1. წლიური შედეგების განხილვა (წლიური და სამეურნეო მდგომარეობის ანგარიში);
2. აუდიტის არჩევა;
3. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების დამტკიცება;
4 საორგანიზაციო საკითხები.

აქციონერებს გთხოვთ, თან იქონიოთ პირადობის მოწმობა ან პასპორტი.

**სამეთვალყურეო საბჭო**

---

## განცხადება

### სააქციო საზოგადოება „გერგეზის“ აქციონერთა საყურადღებოდ

ს/ს „გერგეზი“ ა/წ. 27 ივნისს 14 საათზე ატარებს აქციონერთა საერთო კრებას, სააქციო საზოგადოების ადმინისტრაციულ შენობაში მისამართზე ქ. სენაკი, სანაიას (ყოფილი გუდაუთის) ქუჩა №2-ში.

კრების დღის წესრიგში განსახილველად შეტანილია შემდეგი საკითხები:

1) 2005-2006 წლების სამეურნეო შედეგების განხილვა ს/საზოგადოების დირექტორის ანგარიში;
2) სამეთვალყურეო საბჭოს ახალი შემადგენლობის არჩევა;
3) ს/საზოგადოების წესდებაში ცვლილებების შეტანა;
4. ორგანიზაციული საკითხები.

კრების საალრიცხვო თარილია 2007 წლის 12 მაისი.

დღის წესრიგთან დაკავშირებულ საკითხებზე აქციონერებს შეუძლიათ მოგვმართონ 2007 წლის 17 ივნისის ჩათვლით ზემოთ აღნიშნულ მისამართზე ან დაგვიკავშირდნენ ტელეფონზე 8-213-7-41-04.

**ს/საზოგადოების ადმინისტრაცია**

---

შპს „აგარაკი“ აცხადებს ლიკვიდაციას. დაინტერესებულმა პირებმა გთხოვთ მოგვმართოთ მისამართზე ბოგდან ხმელნიცკის №181. ტელ. 70-75-96.

---

## განცხადება

სააქციო საზოგადოება „ელვას“ სალიკვიდაციო კომისია ატარებს აუქციონს საზოგადოების ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების გაყიდვის მიზნით: მანქანა გაზ-24 1980 წლის გამოშვება, დაუკომპლექტებელი, საწყისი ფასი 500 ლარი დღგ-ს ჩათვლით, სახარატო ჩარხი მოდ. ტუნ, 1984 წლის გამოშვება, დაუკომპლექტებელი, საწყისი ფასით 150 ლარი დღგ-ს ჩათვლით. აუქციონი ჩატარდება მიმდინარე წლის 12 ივნისს დღის 12 საათზე, სს „ელვას“ ტერიტორიაზე, მისამართი ქ. თბილისი, ჯიქიას ქ. №5. აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი სს „ელვას“ სალიკვიდაციო კომისიაში წარადგენს: განცხადებას, აუქციონზე მონაწილეთა განცხადებები მიიღება ყოველდღე 11 საათიდან 16 საათამდე, გარდა შაბათ-კვირისა სს „ელვას“ სალიკვიდაციო კომისიაში მიმდინარე წლის 11 ივნისამდე.

**სს „ელვას“ სალიკვიდაციო კომისია**

---

ხსოვნა

# რაულ კუპრავა

დიდი დანაკლისი განიცადა საქართველოს საინჟინრო და სამეცნიერო საზოგადოებამ. აქტიური შემოქმედებითი მოღვაწეობის პერიოდში მოულოდნელად გარდაიცვალა ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიოსამედიცინო ტექნიკის კათედრის გამგე, საქართველოს ბიოსამედიცინო და კლინიკურ ინჟინერთა ასოციაციის პრეზიდენტი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი რაულ კუპრავა.



რაულ კუპრავა დაიბადა 1945 წელს ქ. სოხუმში. 1967 წელს წარჩინებით დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტი, ინჟინერ-ელექტრომექანიკოსის კვალიფიკაციით და მუშაობა დაიწყო ელექტრონულ-იონური ტექნოლოგიების ინსტიტუტში. 1971-75 წლებში რაულ კუპრავა სწავლობდა მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის ასპირანტურაში, სადაც წარმატებით დაიცვა ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. 1978 წლიდან ბატონმა რაულმა მთელი თავისი საქმიანობა დაუკავშირა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტს, სადაც ღირსეულად განვლო სამეცნიერო პედაგოგიური მოღვაწეობის უაღრესად ნაყოფიერი და შემოქმედებითი წარმატებებით ალსავსე რთული გზა.

რაულ კუპრავამ დიდი ღვაწლი დასდო 1983 წელს საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ელექტრონული სამედიცინო აპარატურის კათედრის ჩამოყალიბებას. იმავე წელს იგი არჩეულ იქნა კათედრის დოცენტად და იმავდროულად „სამედიცინო ტექნიკის სამეცნიერო კვლევითი ლაბორატორიის“ ხელმძღვანელობა დაეკისრა. რაულ კუპრავამ უდიდესი შრომა გასწია, რათა კათედრა გამხდარიყო საქართველოში კლინიკური ინჟინერიის დარგის განვითარების და სამედიცინო ინოვაციური ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვის აღიარებული სამეცნირო სასწავლო ცენტრი.

1992 წელს რაულ კუპრავამ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და მას პროფესორის წოდება მიენიჭა. 1994 წელს ბატონი რაული არჩეულ იქნა ბიოსამედიცინო ტექნიკის კათედრის გამგედ.

პროფესორ რაულ კუპრავას უდიდესი ძალისხმევით კათედრაზე ჩამოყალიბდა უახლესი სამედიცინო აპარატურით აღჭურვილი ლაბორატორიები, შეიქმნა ქართულ ენაზე სახელმძღვანელოები, ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამები, მჭიდრო კავშირები დამყარდა საზღვარგარეთის უმაღლესი სასწავლებლების კათედრებთან და სამეცნიერო ცენტრებთან.

პროფესორ რაულ კუპრავას ხელმძღვანელობით 2003 წელს ჩატარებული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ბიოსამედიცინი ტექნიკა და ინფორმაციული ტექნოლოგიები“ ნათელი დადასტურება იყო იმ მრავალმხრივი სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობისა, რითაც კათედრამ უდიდესი ავტორიტეტი და აღიარება მოიპოვა საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ.

ბატონ რაულ კუპრავას დიდი დამსახურება მიუძღვის საყოველთაოდ ცნობილ საერთაშორისო კომპანია „სიმენსსა“ და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის მჭიდრო საქმიანი კონტაქტების დამყარებაში.

პროფესორმა რაულ კუპრავამ, როგორც 1992-1995 წლების მოწვევის საქართველოს პარლამენტის წევრმა, მეცნიერების და განათლების კომიტეტის თავმჯდომარემ, უდიდესი მუშაობა გასწია განათლების სისტემის და მეცნიერების რეორგანიზაციის მიმართულებით.

პროფესორი რაულ კუპრავა უაღრესად მაღალი კომპეტენციის პედაგოგი გახლდათ. მისი ლექციები ნამდვილი პროფესიული ოსტატობის ნიმუში იყო. იგი თავისი დახვეწილი ინტელიგენტობით და უბადლო ერუდიციით ხიბლავდა სტუდენტობას და ამით უდიდეს პატივისცემას და მოწიწებას იმსახურებდა. პროფესორი რაულ კუპრავა დაუღალავად იღვწოდა ბიოსამედიცინო ინჟინერიის, როგორც მეცნიერების დარგის განვითარებისათვის. სამეცნიერო პრობლემების განხილვისას იგი იყო უაღრესად პრინციპული და თანმიმდევრული.

პროფესორ კუპრავას ღვაწლი აღინიშნა „ღირსების ორდენით“.

წავიდა ჩვენგან უაღრესად კეთილშობილი, ქვეყნისა და ხალხისათვის თავდადებული ღირსეული მამულიშვილი, რომელმაც მთელი შემოქმედებითი ნიჭი და უნარი უშურველად გაიღო ახალგაზრდობის წინსვლის, მეცნიერების განვითარებისა და ქვეყნის აღმშენებლობისათვის. მას თან გაჰყვა უდიდესი ტკივილი მშობლიურ აფხაზეთზე. მას ერთი წუთითაც არ დაუკარგავს სათაყვანებელ სოხუმში დაბრუნების იმედი.

პროფესორ რაულ კუპრავას, ჭეშმარიტი პატრიოტის და ერისკაცის ნათელი სახე და მაღალი მოქალაქეობრივი ღირსება დაუვიწყარია ქართული საზოგადოებისათვის.

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორატი;**
**ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი;**
**ბიოსამედიცინო ტექნიკის კათედრა.**

---

# ლენგო გეგეშიძე



უსასრულოდ გაგრძელდა უშენოდ, ეს შავი წელიწადი. ხშირად წარმოვთქვამ: „ვაი, როგორ დაპატარავდა ჩემთვის საქართველომეთქი“, მერე თითქოს შემრცხვება კიდეც, მაგრამ რა ვქნა, რომ ვერ ვერევი ამ ქვეყნად, შენი არ ყოფნის შეგუებას. არც იმის უფლება მაქვს, ჩავიმუხლო დამ, იმ სახემზიანი, მართალი კაცისამ, რომელსაც ლენგო გეგეშიძე ჰქვია. კაცი, რომლის გულიც მთელი სამყაროს იტევდა, ყველას ამხნევებდა, ანუგეშებდა, იდგა ყოველთვის ზნეობის სიმაღლეზე და რაინდულად ალამაზებდა ქართულ სულს. საოცარი ქველმოქმედებით, ხასხასა იუმორით თავმომწონე, ასხივოსნებდა ქართული გენით შექმნილ ნიჭიერებას.

ჰქონდა შეუდარებელი უნარი ყველასთან მეგობრული ყოფილიყო. არ დასცალდა უამრავი სასიკეთო ჩანაფიქრის განხორციელება. ძალიან ადრე დაიხურა მისთვის ამქვეყნიური ცხოვრების ფარდა.

ჩვენო ყველასათვის საფიცარო ლენგო, რთულსა და არეულ დროში ოჯახის წევრები, მეგობრები, ახლობლები ვამაყობთ შენი სახელით, საქართველოშიც, რუსეთშიც სიკეთის ძაფებით გვაკავშირებ ერთმანეთთან, ეს გვაძლევს ძალას, რათა სიყვარულისა და სითბოს ველში მოვიყაროთ თავი და ვადიდოთ შენი სახელი.

დიდი მადლობა ყველაფრისათვის.

გვაპატიე, რომ ვერ გაგიფრთხილდით.

ნათელში იყოს სიხარულის და სიკეთის მფრქვეველი შენი ლამაზი სული.

**დამწუხრებული შენი დაიკო მზია**

---

## განცხადება

სააქციო საზოგადოება „ელვას“ სალიკვიდაციო კომისიის განცხადებაში, რომელიც გამოცხადებული იყო ა. წ. 26 მაისის „საქართველოს რესპუბლიკაში“ გაიპარა უზუსტობები, უნდა იყოს: ... საოფისე ფართი 1460 კვ. მეტრი ნაგებობა 2-ში ... ; ... ფასის მატების ბიჯი ფასის 5 პროცენტის ოდენობით.

**სს „ელვას“**
**სალიკვიდაციო კომისია**

---

გივი ლომინაძე, ვახტანგ ყოლბაია, თენგიზ კალანდაძე, ჯუმბერ შოთაძე იუწყებიან მეგობრის

**ზვიად ცეცხლაძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ლუიზა და როინ მეტრეველები ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყებიან ღირსეული მამულიშვილის

**ზვიად ცეცხლაძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ნინო და ვიქტორ მეტრეველები, ნინო ციციშვილი, ირაკლი მეძმარიაშვილი ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან

**ზვიად ცეცხლაძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

აბესალომ იმედაშვილი ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება უახლოესი მეგობრის

**ვახტანგ გამცემლიძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორატი, საქართველოს საინჟინრო აკადემია, ინფორმატიკის და მართვის სისტემების ფაკულტეტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან ბიოსამედიცინო ტექნიკის კათედრის გამგის, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ

**რაულ კუპრავას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

● ქართველთა ერის განმანათლებლის, წმიდა ნინოს მშობლები ზაბულონი და სოსანა იყვნენ დაუფარავი აღმსარებელნი ჭეშმარიტი ღმერთისა


ეროვნული ბიბლიოთეკა



◉ სულიერება

## ღირსი ზაბულონი და სოსანა, წმიდა მოციქულთა სწორი ნინოს მშობლები

2 ივნისს საქართველოს სამოციქულო ეკლესია იხსენიებს წმიდა ნინოს მშობლებს — ღირს ზაბულონს და სოსანას. კაბადოკიელი, წმიდა გიორგის ნათესავის, ღირსი ზაბულონის ღვაწლით მთელი მაშინდელი საფრანგეთი ეზიარა ქრისტეს წმინდა ნათელს.



ნინოს მამამ, წმიდა ზაბულონმა, ცოლად შეირთო იერუსალიმის პატრიარქის და სოსანა. სოსანამ თავიანთი ერთადერთი ქალიშვილი ქრისტეს რწმენითა და სიყვარულით აღზრდა. ნინო 12 წლისა რომ გახდა, მშობლებმა გადაწყვიტეს დარჩენილი ცხოვრება ღვთის სამსახურისთვის მიეძღვნათ, მთელი ქონება ღატაკებს დაურიგეს და იერუსალიმს გაემგზავრნენ. ზაბულონმა მეუდაბნოება განიზრახა. წასვლის წინ შვილი მკერდში ჩაიკრა და უთხრა:

„... ჩემო ერთადერთო ასულო გტოვებ ობლად და მიგანდობ ზეციერ მამას და ყველას გამომზრდელ ღმერთს... შეიძინე მარიამ მაგდალინელის მსგავსი შური ქრისტეს სიყვარულისთვის და ერთგულება, ლაზარეს დებისა მსგავსი, თუ ისე შეიყვარებ უფალს, როგორც მათ შეიყვარეს, იგი შენც მოგცემს ყოველივეს, რასაც სთხოვ“.

ნინოს დედა, სოსანა, იერუსალიმის პატრიარქმა უძლური და გლახაკი დედების მსახურად განაწესა.

საგულისხმოა, რომ ნინოს მშობლების შესახებ ცნობები მხოლოდ ქართულმა წყაროებმა შემოგვინახა.

ქართველთა ერის განმანათლებლის, წმიდა ნინოს მშობლები ზაბულონი და სოსანა იყვნენ დაუფარავი აღმსარებელნი ჭეშმარიტი ღმერთისა.

ცნობილია, რომ ბოდბეში, მონასტერთან არის წყარო, რომელშიც განსაბანადაც საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოდიან...

მე-20 საუკუნის 90-იან წლებში ბოდბის წინამძღვრის, იღუმენია თეოდორას ინიციატივით ხეობაში, წყაროზე განსაბანი და წმიდა ზაბულონისა და წმიდა სოსანას სახელობის პატარა ტაძარი აიგო. აქ განსაბანად არა მარტო საქართველოს კუთხეებიდან, არამედ სხვა ქვეყნებიდანაც ჩამოდიან.

2 ივნისს საზეიმო წირვა-ლოცვა განსაკუთრებული ზეიმით აღინიშნება ზაბულონისა და სოსანას სახელობის ტაძარში.

**გიული ლიპარტია**

◉ რა არ ხდება

## ჩვენ გვიყვარს და გვჭირდება რადიო!

**რადიო, მართლაც, ძალიან გვჭირდება. წლების მანძილზე ის ჩვენი ცხოვრების განუყრელი ნაწილი იყო. მის გარეშე გვიჭირს, განსაკუთრებით კი პენსიონერებს.**

მიუხედავად ჩვენი დიდი სურვილისა და მცდელობისა, დღემდე ვერ მოხერხდა, რომ ჩვენს კორპუსში აღდგეს რადიოხაზი, რომელიც ექვსი თვეა გაუქმებული.

მივაკითხეთ შპს „საქართველოს ტელე-რადიო ცენტრის“ გენერალურ დირექტორს გია დეკანოსიძეს. მან არ დააკმაყოფილა ჩვენი თხოვნა იმ მიზეზით, რომ მსურველთა რიცხვი მცირეა.

დარწმუნებული ვართ, რომ თუკი რადიოხაზი აღდგება, მსურველთა რიცხვიც გაიზრდება.

ბოლო წლებში ქალაქის ხელისუფლებამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ქალაქის კეთილმოწყობის, თბილისის ბინადართა კომუნალური და სხვა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. რადიომაუწყებლობა რატომღა უნდა ჩაკვდეს?!

გაგვცეს, იქნებ, ვინმემ პასუხი.

პატივისცემით,

**ე. კონიაშვილი, ნ. რუხაძე, ვ. მგელაძე, მ.დარბაისელი**

**ქ.თბილისის დიღმის მასივის მეორე კვარტალის მე-13 კორპუსის მესამე სადარბაზოს პენსიონერები**

◉ ინფორმაცია

## წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს

**თბილისის საქალაქო სასამართლომ ბიზნესმენ ზვიად ცეცხლაძის მკვლელობაში ბრალდებულ ხუთივე პირს — ნათია კორიფაძეს, მირანდა ქარდავას, გიორგი კილაძეს, ანდრო მუმლაძესა და მალხაზ დევიძეს აღმკვეთ ღონისძიებად წინასწარი ორთვიანი პატიმრობა შეუფარდა.**

მოსამართლემ ამ გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა ბრალდების მხარის შუამდგომლობა და არ გაიზიარა ადვოკატების მოთხოვნა გირაოს შეფარდებასთან დაკავშირებით.

ნათია კორიფაძეს ბრალად ედება ზვიად ცეცხლაძის მიმართ განხორციელებული ყაჩაღობის ორგანიზება, მირანდა ქარდავას — ყაჩაღობა, ხოლო დანარჩენ დაკავებულ სამ პირს: კილაძეს, მუმლაძესა და დევიძეს — თავისუფლების უკანონოდ აღკვეთა, ყაჩაღობა და განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში. ეს სამი მუხლი სამუდამო პატიმრობას ითვალისწინებს.

ამასთან, მკვლელობაში ეჭვმიტანილი კიდევ ერთი პირი კახა ხარაიშვილი იძებნება.

**ინტერპრესნიუსი**

◉ გვემრავლოს!

## ქართული ადათით გავზრდით...



მე და ჩემ მეუღლეს — თამარს ორი შვილი გვყავდა, ორივე გოგონა — ნათია და ნინო, ახლა, მე-4 სამშობიარო სახლში, მესამე შვილი — ბიჭი შეგვეძინა. ბიჭს ცოტნე დავარქვით, ჩემი გვარის გამგრძელებელი გაჩნდა. წინაპრებისადმი პატივისცემა ქართველებს ადათით მოგვდგამს, სამივეს ასეთს გავზრდით, — გვითხრა რედაქციაში მოსულმა თბილისელმა, სამი შვილის მამამ ვარლამ ფარცვანიამ.

**ნათელა ფაილოძე**

◉ დემოგრაფია

## ქალაქელები მეტნი ყოფილან

**2007 წლის 23 მაისს დედამიწაზე მოხდა დემოგრაფიული გარდატეხა — მთელს ისტორიაში პირველად ქალაქის მოსახლეობამ გადააჭარბა სოფელ-ადგილების მოსახლეობას, — ეს დაადგინეს აშშ ჩრდილოეთ კაროლინის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ჯორჯიის უნივერსიტეტის მეცნიერებმა.**

ქალაქელთა რიცხვმა 3 მილიარდ 303 მილიონ 992 ათას 253-ს მიაღწია, სოფლის მოსახლეობა კი 3 მილიარდ 303 მილიონ 866 ათას 404-ია, ანუ ქალაქის მოსახლეობამ პლანეტის მოსახლეობას 50 პროცენტით გადააჭარბა.

რასაკვირველია, ეს გარემოება ხელიდან არ გაუშვეს რუსმა დემოგრაფებმა და აღნიშნეს, რომ რუსეთმა ეს ზღვარი დიდი ხანია გადალახა. 2007 წლის 1 ივნისის მონაცემებით, მთელი მოსახლეობის 73 პროცენტი ცხოვრობს ქალაქად, ხოლო 27 პროცენტი — სოფლად.

რაც შეეხება საქართველოს, აქ ზუსტი ანგარიშის გარეშეც ცხადია, რომ ჩვენმა გადუხჭირებულმა ცხოვრებამ ბევრზე ბევრი სოფლელი ქალაქელად აქცია.

◉ ლარის კურსი

## 2 ივნისიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსი

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,3374 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,6780 ლარი |
| ევრო | 1 | 2,2601 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0648 ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 | 1,9528 ლარი. |
| სომხური დრამი | 100 | 0,4807 ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3,3426 ლარი. |

◉ ანეკდოტები

ძუკუ ვაშლს ჭამს, მისი გულიდან სათითაოდ ამოკენკილ თესლს კი ჯიბეში იყრის.

— რად გინდა, რისთვის ინახავ მაგას? — ინტერესდება სვანი.

— რას ჰქვია, რად მინდა, შენ ეს უბრალო რამე ხომ არ გგონია, კაცს ინტელექტს მატებს, სულელსაც კი აჭკვიანებს.

— უყურე შენ! ერთ ცალს ვერ მომყიდი?

— კი, ბატონო, ათი ლარი ღირს.

იყიდა სვანმა, შეჭამა და ამბობს:

— კი, მაგრამ, კაცო, ათ ლარად ხომ სამ კილო ვაშლს ვიყიდდი!

— აი, ხომ ხედავ, უცებ დაჭკვიანდი!

— მართალი ხარ, ხომ იცი, კიდევ ერთი ათი ცალი მომყიდე.

* * *

საერთოდაც რომ არავინ გასცეს ქრთამი, ჩვენთან მაინც არ მიატოვებენ მის აღებას.

* * *

გენადი ონიშჩენკომ რუსეთელებს მოუწოდა, რომ ცივი ლუდი ცხელი ჩაით შეცვალონ.

რუსეთელებმა მოუწოდეს ონიშჩენკოს, რომ სამინისტროს სავარძელი სახარატო დაზგით შეცვალოს და მერე მისცეს ხალხს რჩევები.

* * *

თუ ქორწინებიდან 2-3 წლის შემდეგ ცოლმა 15-20 კილოგრამით არ მოიმატა, სასწრაფოდ წაიყვანე ექიმთან, ნაღდად ავადმყოფი შემოუჩეჩებიათ.

* * *



— რა მოგივიდა, მიხო, რად ხარ ასე მიცვალებულივით ფერწასული? — ეკითხება ძმაკაცი.

— მეგობარი მომიკვდა.

— უჰ, საწყალი, სიყრმისა?

— უფრო მეტისა!

— ტრუსიკისა?

— ტრუსიკის ჩაცმამდეც ჩემთან მეგობრობდა, განა!

— ვაჰ! როდის მოკვდა?

— წუხელ, ყველაზე ლამაზი ქალი რომ მოვჩანგლე, მაშინ, — შარვლის შესაკრავისკენ წაიღო ხელი მიხომ.

◉ კადრი



რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-96-32; 899 328576

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა მაქსიმუმში“.
მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 93-50-22.
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემლები
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებელი ჟურნალისტები. მისამართი: კოსტავას ქ. № 14.
ტ: 899 537616; 98-96-33.
შპს „თანადგომა -1“ ძიზიძის ქ. № 12.
ტ: 899 797679; 98-96-32.

მთავარი რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი
მორიგე რედაქტორი ოთარ ტურაბელიძე

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32; 899 328576

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე აწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.